ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგილოცავთ ახალ წელს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 (11915)
კვირა, 1 იანვარი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.




# საბჭოთა ხალხს

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

# საახალწლო მილოცვა

ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო! დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ მომავალ ახალ წელს! სულითა და გულით გისურვებთ ახალ წელს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, დიდ წარმატებებს შრომასა და შემოქმედებაში ჩვენი ხალხის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობის საქმის გამარჯვებისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

თვალს ვავლებთ რა განვლილ 1960 წელს, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი საქმე კარგად მიდის! შვიდწლედის გრანდიოზული გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქცია 17 პროცენტით გაიზრდებოდა, იგი კი 23 პროცენტით გადიდდა. ამ წლების მანძილზე წარმოებულია მრეწველობის მეტი პროდუქცია დაახლოებით 120 მილიარდი მანეთისა, ვიდრე განსაზღვრული იყო გეგმით. ეს ჩვენი გმირი მუშათა კლასის, ინჟინრების, ტექნიკოსების, წარმოების ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების დამსახურებაა.

ახალი წლის წინ ვადამდე ამუშავდა სოციალისტური ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიცაა მსოფლიოში ყველაზე დიდი სტალინგრადის ჰიდროსადგური, მსოფლიოში უდიდესი კრივოროჟიის ბრძმედი, უნიკალური საგლინავი დგანი მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში. ეს ჩვენი დაუცხრომელი მშენებლებისა და მემონტაჟეების დამსახურებაა, რომლებიც ეყრდნობიან სოციალისტური ინდუსტრიის სულ უფრო მზარდ სიმძლავრეს.

ახალ წელს მტკიცე რწმენით ეგებებიან საბჭოთა სოფლის მშრომელებიც. უკანასკნელ ექვს წელიწადში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა ჩვენში ერთნახევარჯერ გაიზარდა. 1960 წელს, არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, ჩვენმა სოფლის მეურნეობამ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ. ეს ჩვენი კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დამსახურებაა, რომელნიც თავდადებით ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის წინასწარდასახულობას სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ.

საბჭოების ქვეყანა სამართლიანად ამაყობს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებით. განვლილ წელს ჩვენ კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდით ატომის საიდუმლოებას, ვისწავლეთ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის კიდევ უფრო წარმატებით გამოყენება. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელმაც კოსმოსში გაგზავნა და დედამიწაზე დააბრუნა მძიმე ხომალდი ცოცხალი არსებებით, ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი უდავო პრიორიტეტი კოსმოსის ათვისებასა და ცოდნის ბევრ სხვა დარგში. ეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეების, ჩვენი შესანიშნავი მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და მანქანათმშენებლების დამსახურებაა.

საბჭოთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერულ-ტექნიკური აზრის წარმატებები საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესების მტკიცე საფუძველია. ყოველივე, რაც კი ჩვენს ქვეყანაში კეთდება, ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის კეთდება. წარმატებით წყდება ბინის პრობლემა. დამთავრდა საბჭოთა ქვეყნის ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ხორციელდება გადასახადების გაუქმების კანონი. ახალი წლიდან მიმოქცევაში იქნება ახალი ფული. იგი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვალუტად გადააქცევს მანეთს.

განვლილი წელი აღინიშნა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით მტკიცე მშვიდობისათვის დედამიწაზე. წლის დამლევს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, გადაწყვიტა რა მოეხდინა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირება, მოუწოდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებსა და მთავრობებს განეხორციელებინათ პრაქტიკული ღონისძიებანი შეიარაღების ტვირთისაგან თავიანთი ქვეყნების ხალხთა განთავისუფლებისათვის, ომის საფრთხისაგან მთელი კაცობრიობის ხსნისათვის. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. საბჭოთა კავშირის ისტორიული წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, კოლონიური ჩაგვრის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, აერთიანებენ ყველა პატიოსანი ადამიანის გონებასა და გულს, დედამიწის ყველა კონტინენტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბრძოლველად.

და თუმცა სსრ კავშირის წინადადებანი არ მოეწონათ იმპერიალისტებს, კოლონიზატორებს და მათ ახალი პროვოკაციები მოაწყეს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, რათა გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, ჩაშალონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივა, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად განაგრძობს მტკიცე და შეუპოვარ ბრძოლას მშვიდობისათვის. ჩვენ გვწამს, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს.

ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა არა იმპერიალიზმი, არამედ სოციალიზმი, მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები უფრო მეტად განსაზღვრავენ კაცობრიობის ბედს. იმპერიალიზმის ვერავითარი ცდა ვერ შეაჩერებს ისტორიის განუხრელ განვითარებას. ჩვენი საუკუნე მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების საუკუნეა. ამას უდიდესი დამაჯერებელი ძალით მოწმობს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის ნოემბრის ისტორიული თათბირის შედეგები.

ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

ჩვენი საყვარელი სამშობლო მძლავრი ძალებით აღსავსე ეგებება ახალ, 1961 წელს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც ეს არის დამთავრდა, დაამტკიცა შვიდწლედის მესამე წლის გეგმა. ამ გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, მეცნიერებისა და კულტურის ახალ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ხალხი ამ გეგმებს რეალობად აქცევს და მომავალ წელს ახალ სასახელო ფურცლებს ჩაწერს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მომავალ წელსაც ისევე თანამიმდევრულად, მტკიცედ და შეუპოვრად იბრძოლებს ახალი წარმატებებისათვის საბჭოთა ეკონომიკის განვითარებასა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მშვიდობის, მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. დაე მშვიდობა და თავისუფლება იყოს ყველა ხალხის ხვედრი დედამიწის ყველა კუთხეში.

დიდება ჩვენს დიად სამშობლოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება ჩვენს მშრომელ ხალხს, მშენებელ ხალხს, კომუნიზმისათვის მებრძოლ ხალხს!

მხურვალე სალამი ჩვენს დებსა და ძმებს დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში! დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა.

გაუმარჯოს ყველა ხალხის მეგობრობას, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

დაე მტკიცდებოდეს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა—კომუნიზმისათვის ბრძოლაში ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარი. მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ურყევი ერთიანობა.

ახალ წელს გილოცავთ, ახალ ბედნიერებას გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

| საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნეს, რომ არ განხორციელდეს ძველი ნიმუშის 1, 2 და 3-კაპიკიანი მონეტების გამოცვლა ახალი ფულით და შენარჩუნებულ იქნას ეს მონეტა მიმოქცევაში მისი ნომინალური ღირებულებით.

ამასთან დაკავშირებით 1961 წლამდე მოჭრილი 1, 2 და 3-კაპიკიანი მონეტა სავალდებულოა მიღებულ იქნას ყველა გადასახდელისათვის ნომინალის მიხედვით აღნიშნული ღირებულების ახალი მონეტის თანაბრად.




ნახ. ი. ქოქიაშვილისა.



ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში.

ამ ფოტოსურათმა, რომლის ავტორია თ. არჩვაძე, 1960 წელს გაზეთ „პრავდის" მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსზე მეორე პრემია დაიმსახურა.

კარლო კალაძე

## სიმღერა

ჩემო სამშობლოვ, შენი ვარ,
შენით მსურს ვიბედნიერო,
გაზაფხულივით ახალო
და მყინვარივით ხნიერო!
სუნთქვა მაგ შენი ბაღების
შრიალა ნიავქარია,
იჩქარის გულიც, ხალისით
მოვდივარ-მომიხარია!

რიონო და ენგურო,
მტკვარო არაგვიანო,
თქვენთან ერთად
ყველა მთა
მინდა გადავიარო!

ჩემო ალალო სიცოცხლევ,
ომგადახდილო, ძლიერო,
მხარგაშლილ ბარის ვაჟკაცო
და მხარმაღალო მთიელო,
მე ყველგან თქვენი ხმა მესმის
და ყველგან ღია კარია,
იჩქარის გულიც, ხალისით
მოვდივარ-მომიხარია!

რიონო და ენგურო,
მტკვარო არაგვიანო,
თქვენთან ერთად
ყველა მთა
მინდა ავახმიანო!

ჩემო ცრემლო და ღიმილო,
სიმღერავ გულისხმიერო,
მკვირცხლად გახელილ თვალების
დაუკარგველო იერო,
მე საქართველოს რომ ვუცქერ,
განა რა დიდი ხანია,
გული კი მაინც იჩქარის,
მოვდივარ... მომიხარია!

რიონო და ენგურო,
მტკვარო არაგვიანო,
საქართველოს
მთებიდან
გავლა დავაგვიანოთ!

# მეგობართა მილოცვა

საქართველოს სს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, ძველი ანაგა, ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა

გიორგი ჩალაგაშვილს

ჩვენი კოლმეურნეობის მწყემსები, [illegible] ნობენ, და პირადად მე გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ შვიდწლედის მესამე წელს ნაყოფიერ შრომას.

სიხარული განვიცადე, როცა შევიტყვეთ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა სასახელო შრომას. ამ მიღწევაში ხომ თქვენი წვლილიც არის. ჩვენ ეს გვახარებს.

შვიდწლედის მესამე წელს დასახულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. განსაკუთრებული ამოცანაა დასახული ხორცის წარმოების გასადიდებლად. ჩვენ შორის არსებული სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს ამ მიზანდასახულობის განხორციელებას.

გთხოვთ ახალი წელი მიულოცოთ თქვენი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ყველა მწყემსს.

**ივანე მალაშენკო,**

სტავროპოლის მხარე, კოჩუბეის რაიონი, სოფელ ოლგინსკოეს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარე, სოციალისტური შრომის გმირი.

საქართველოს სსრ, მახარაძის რაიონი

პარტიის მახარაძის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს

გენიჩესკის რაიონის მშრომელები გულითადად გილოცავენ ახალ წელს და ძმურ სალამს გითვლიან თქვენ და მახარაძელ მშრომელებს. ჩვენი ორი რაიონის მშრომელთა მეგობრობა წლითიწლობით ამრავლებს წარმატებებს. გისურვებთ ახალ წელს ახალი წარმატებების მოპოვებას, ძვირფასო მეგობრებო!

**პარტიის გენიჩესკის რაიკომი,**
**რაისაბჭოს აღმასკომი.**

# ოცნება, ფიქრი, მიზანი...

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მიმართა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს ეამბნათ ჩვენი მკითხველებისათვის, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მათს ცხოვრებაში 1960 წელს, რას აპირებენ ახალ — 1961 წელს.

**ალ. წულუკიძე,**
აკადემიკოსი.

თანამედროვე კაცობრიობა უმაგალითო ძვრებს განიცდის პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამეცნიერო, ტექნიკურ სფეროებში. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენებია მშვიდობისმოყვარე სოციალისტური ქვეყნების ზრდა და გაძლიერება, რის წყალობითაც ეს ბანაკი მსოფლიო ისტორიის გადამწყვეტ ძალად გადაიქცა.

სამეცნიერო-ტექნიკური აზრის უდიდესი პროგრესია ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების გაფართოება, კოსმოსის დაპყრობის წარმატებითი ცდები, რაც პირველად ჩვენმა ქვეყანამ განახორციელა. ვულოცავ ჩემს ბედნიერ სამშობლოს, ჩემს ხალხს ახალ წელს, რომელიც ახალ წარმატებებს და წინსვლას მოუტანს მათ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გულმოდგინედ მუშაობს რამდენიმე სამეცნიერო პრობლემაზე, რომელთა გადაჭრას არა მარტო მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. აღვნიშნავ შარდკენჭოვან დაავადებას და საშარდე ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ხელს შეუწყობს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ მცირე, მაგრამ საიმედო მიღწევები გვაქვს და შემდეგშიც განვაგრძობთ მუშაობას ამ დარგში.

## ჩვენი ინტერვიუ

**ბალო ქუჯოშვილი,**
კოლმეურნეობის მერგოლური

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს და ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს ახალუბნელი კოლმეურნეები ბევრ შრომითს საჩუქარს ვუმზადებთ.

იმ რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, — თქვა გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის მერგოლურმა ბალო ქუჯოშვილმა, — საშუალოდ ჰექტარზე 180 ცენტნერი ხილი მოიყვანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ცენტნერისა. რგოლმა თავი გამოიჩინა შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მოყვანაშიც. ჰექტარზე 1.100 ცენტნერი შაქრის ჭარხალი! —ასეთია შედეგი.

ამ მაჩვენებლებით ვემშვიდობებით ძველ — 1960 წელს და ვეგებებით ახალ წელს.

**ბაგრატ ხმიადაშვილი,**
ზეინკალი.

როგორ ეგებებით ახალ წელს? — ვკითხეთ ზეინკალ ბაგრატ ხმიადაშვილს, რომელიც ის-ის იყო „ავადმყოფი" ორთქლმავლის ქვაბიდან გამოძვრა.

— თქვენ რომელი წელი გაინტერესებთ? — შეგვესიტყვა თბილისის საორთქლმავლო დეპოს სახელმოხვეჭილი ოსტატი შალვა ხიზანაშვილი.

— ცხადია, ახალი, 1961 წელი! — უპასუხა ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა.

ეჰე, — ხელი ჩაიქნია ხიზანაშვილმა, — ჩვენმა ბაგრატმა დროს რახანია გაუსწრო, 1961 კი არა, 1982 წელიც უკან მოიტოვა...

# მარად ცოცხალი, როგორც სიმღერა

ბევრ რამეზე მეტყველებს გაზეთის ეს ფერმკრთალი ფურცელი, ადამიანებს ხელიდან ხელში უტარებიათ იგი და ამიტომ საკმაოდ გაცრეცილია, კალთებჩამოხეული. აბა ამაზე დიდი ღირსება რა არის გაზეთისათვის — მკითხველი ინტერესით დაეწაფოს მას, შეიყვაროს... არა, ვინ სთქვა გაზეთი მხოლოდ ერთი დღე ცოცხლობსო. აბა რა მოკლავს ამ გაზეთს ჩვენს წინ დაცრეცილი, ფერმკრთალი, მაგრამ ფუსვებმაგარი, და სიტყვამართალი, რომ ასე ამაყად გადაშლილა.

„გილოცავთ ახალ წელს — 1922 წელს! საქართველოს მუშებისათვის, გლეხებისათვის პირველ თავისუფალ დღესასწაულს, ამხანაგებო!"

დღესასწაულსო! წერს გაზეთი, მაგრამ აბა მაშინ ზეიმისათვის ვის ეცალა, მტრის ძველი და ახალი ნაკვალევი მძიმედ აჩნდა რევოლუციურ საქართველოს.

„დღეს ჩვენი ქვეყანა მეტისმეტად ჩამორჩენილია. არ მოგვეპოვება მსხვილი ინდუსტრია, რაც დიდ დაღს ასვამს ჩვენს სოფლის მეურნეობასაც. ჩვენი ქვეყანა არა მარტო საერთო სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაა, არამედ პრიმიტიული სასოფლო-მეურნეობის. ქართველი ხალხი ამუშავებს მიწას არა ახალი ტექნიკის საშუალებით, არამედ მამა-პაპური, ძველებური მიწის დასამუშავებელი იარაღებით".

„დავეხმაროთ დამშეულებს, ნუ დავაგვიანებთ შემოწირულებებს... ჯერ ომმა... მოღალატე მენშევიკებმა გააჩანაგეს საქართველო..."

„მთასავით დგას სიძნელენი ჩვენს წინაშე... ასეა, ახალს, მზარდს მუდამ წინ ელობება დაბრკოლება, მაგრამ ცხოვრებას მხოლოდ ერთი კანონი აქვს — ახალი, მზარდი აუცილებლად ძლევს, ამსხვრევს, ანადგურებს ძველს, დახავსებულს, ამსხვრევს დაბრკოლებებს, იზრდება, ვაჟკაცდება, იმარჯვებს და ზეიმობს... გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

ასე შემოვიდა საქართველოში 1922 წლის პირველი იანვარი, ასე გადმოსცემდა ხალხის სიხარულს, მის გულისწუხილს, სურვილსა და იმედს, ბრძოლასა და შრომას მართალი და წრფელი სიტყვებით გაზეთი „კომუნისტი".

„მხოლოდ თავი და თავი ზომები, — მიუთითებდა, იგი — რომლებიც ჩვენ უნდა გავატაროთ მეურნეობის გასაუმჯობესებლად, არის მელიორაცია და ელექტროფიკაცია. ჭაობების ამოშრობა და არხების გაყვანა არის უახლესი ჩვენი მიზნები. დასახულია არხის გაყვანა ტირიფონის ველზე. საერთოდ ჩვენს ინჟინრებს შემუშავებული აქვთ დიდი გეგმები ელექტროფიკაციის განსახორციელებლად, მაგრამ ამას უნდა ათეული წლები".

და აი ეს ათეული წლებიც გავიდა. საბჭოთა საქართველო დღეს მეორმოცეჯერ ხვდება ახალ წელს. ხვდება ზეიმით, ხვდება წელმაგარი, შუბლნათელი და უხვსვიანი.

ჭაობები ამოვაშროთო!.. — მოუწოდებდა მაშინ გაზეთი. ახლა ნახეთ რა ნარინჯ-თურინჯი ამშვენებს იმ ნაჭაობარ მიწებს, როგორ დაუხატიათ ველმინდვრები ჩაის ბუჩქებს, ხეივნებსა და ბაღებს, გზატკეცილებსა და გაზონებს.

არხები გავიყვანოთო — გეგმავდა ხალხი.

ნახეთ არხებიც... ერთი კი არა, მრავალი. მტკვარი, იორი, არაგვი, ლიახვი, ალაზანი, რიონი, ყვირილა ადამიანის ხელმა ვენახებში, ბაღებში, ყანებში შეიყვანა, პაპანაქება სიცხეში ცისნამად აქცია, გააცოხლებინა, ააყვავებინა საუკუნოებით მკვდარი მიწები.

მრეწველობა ჩამორჩებაო! — გულისტკივილით იუწყებოდა გაზეთი. დიდი ხანია გაქრა ეს გულისტკივილიც. ახლა სად არ იცნობენ ქართულ ფოლადს, სად არ უდგათ ქართული დაზგები, სად არ დაქრიან ქართული ავტომობილები და ელმავლები.

მამა-პაპური კავი, მხოლოდ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს შერჩათ წარსულის მოსაგონარად, საქართველოს სოფლებში საკოლმეურნეო მინდვრებზე ტრაქტორები და კომბაინები დოჯირითობენ.

ელექტროფიკაცია?! ჩვენს ინჟინრებს შემუშავებული აქვთ დიდი გეგმები, მაგრამ ამას უნდა ათეული წლებიო — წერდა გაზეთი. ამ გეგმის პირველი დიდი ნაპერწკალი იყო „ზაჰესი" და ამიტომ შეარქვა მას მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდი ლენინის სახელი.

მალე მტკვარს რიონმა გაუტოლა მხარბეჭი, გაუტოლა და, ცოტა არ იყოს, მეტი ტვირთიც აიკიდა. პირველ რიგში ჭიათურის მარგანეცს დაუთმო მკლავისძალა, შემდეგ ზესტაფონის ახალგაზრდა ფეროშენადნობთა გიგანტსა და ამიერკავკასიის რკინიგზას მიაშველა ხელი, ქალაქად და სოფლად გასტყორცნა ციმციმა სხივები.

არც ამან იკმარა. ადამიანის ხელმა მდინარე ხრამს ხრამი ჩაუკეტა, მისი ტალღები მთებში ჩაამწყვდია, გვირაბში შეაგდო და ცეცხლად აქცია.

თითო ულელი საქართველოს თითქმის ყველა დიდ მდინარეს დაადგეს კისერზე ჩვენმა ენერგეტიკოსებმა, მტკვარსა და რიონს კი ორი და სამიც არ აკმარეს. სადაც ყველაზე უფრო ფეხმარდობდნენ, იქ დააგუბეს ისინი, იქ გადაუკეტეს სავალი გზა და აიძულეს გააფთრებული ტალღებით დაძგერებოდნენ ფოლადის ფრთებს, ციბრუტივით დაეტრიალებინათ ისინი, რათა მდინარეში სინათლე დაბადებულიყო.

ახლა არც ეს ყოფნით ჩვენს აყვავებულ სოფლებსა და ქალაქებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და შახტებს, ელმავლებსა და ლაბორატორიებს... მალე ენგურიც პირნათლად მოიხდის ვალს ადამიანის წინაშე. კავკასიონის მარად ბნელი და თოვლიან-ყინულოვანი ჯურღმულებიდან ღრიალით წამოსული ენგურის ცივ ტალღებშიც დაიბადება სითბო და სინათლე.

„...რა დაგიტოვა ძველმა, უკულმართმა ცხოვრებამ? წერა-კითხვის უცოდინარობა, უუფლებობა... აქა-იქ დანგრეული სასკოლო შენობა, სიბნელე და უვიცობა. ჩვენი პირველი ამოცანაა გავზარდოთ სკოლების რიცხვი, მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, გლეხებისა და მუშების შვილებს საშუალება მივცეთ მშობლიურ ენაზე მიიღონ უმაღლესი განათლება" — წერდა 1922 წლის იანვარში გაზეთი „კომუნისტი".

განვლო ორმოცმა წელმა და არა მარტო სკოლები აშენდა სოფლად და ქალაქად, არა მარტო მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა და გლეხისა და მუშის შვილებს საშუალება მიეცათ მშობლიურ ენაზე მიეღოთ უმაღლესი განათლება, არამედ საქართველოში ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერებათა ორი მძლავრი აკადემია, სახელმწიფო უნივერსიტეტი და უამრავი უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, მეცნიერული კვლევა-ძიების გვირგვინი — ატომური რეაქტორი.

ასე შემოვიდა საბჭოთა საქართველოში მეორმოცე ახალი წელი — 1961 წელი.

გაივლის იანვარი, ხალხი იტყვის;
თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო...

დიახ, დადგება თებერვალი, ხეში ჩადგება წყალი... საქართველოს მშრომელები სიამაყით მოიგონებენ 1921 წელს, გაიხსენებენ როგორ ჩაიდულაბა მან ჩვენს მიწა-წყალზე კომუნიზმის მძლავრი საძირკველი;

გაიხსენებენ განვლილ დღეთა სიდიადეს — შრომას, ბრძოლას, თავდადებასა და გამარჯვებებს.

დღეს ახალი წელია — 1961 წელი. საბჭოთა საქართველო მეორმოცეჯერ ეგებება მას გამარჯვებული, თავისუფალი, დიადი მომავლის რწმენით აღსავსე, ბედნიერი და სვიანი.

არა, ვინა სთქვა გაზეთი მხოლოდ ერთი დღე ცოცხლობსო... „კომუნისტის" 1922 წლის პირველი იანვრის ფერმკრთალი, გაცრეცილი ფურცელი, მარად იცოცხლებს ხალხთან ერთად, სამშობლოსთან ერთად, როგორც მათ ცხოვრებაზე, ბრძოლასა და შრომაზე თქმული მართალი სიტყვა.

**გ. თათარიშვილი.**

## ახლის მოთავე



იოსებ ხაზარაძეს — მომავლის გაბედულ მზვერავს კარგად იცნობს არა მარტო თავისი მშობლიური საწარმოს — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, არამედ რესპუბლიკის საწარმოთა მშრომელებიც.

წარმოების ნოვატორს, რომლის ანგარიშზეა მრავალი ტექნიკური სიახლე, დაებადა აზრი ქარხანაში შეექმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადა, რათა საერთო ღონისძიებები წარემართა ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად. თაოსნობამ ფრთები შეისხა... სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გახსნის წინადღეებში ი. ხაზარაძემ ასეთი ბრიგადა შექმნა. ბრიგადაში ათი ნოვატორი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსია გაერთიანებული.

ბრიგადამ ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა — იკისრა შვიდწლედის ბოლომდე ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით ბრიგადის თვითეულმა წევრმა დაზოგოს ერთი მილიონი მანეთი, ე. ი. სულ 10 მილიონი მანეთი, ხოლო 1960 წელს დაზოგოს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 1 მილიონი მანეთი.

ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის ბრიგადამ ნაყოფიერი მუშაობა გასწია. განვლილ პერიოდში ბრიგადის წევრებმა 40-ზე მეტი საყურადღებო წინადადება შეიტანეს. დანერგილი წინადადებების შედეგად სამუშაო უბნებზე ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, იკლო წუნმა, შემცირდა თვითღირებულება. ამას წინათ შეაჯამეს დანერგილ წინადადებათა ეკონომიური ეფექტი და აღმოჩნდა, **რომ ნაცვლად ნაკისრი ერთი მილიონი მანეთისა ბრიგადას 1 მილიონ 50 ათასი მანეთის ეკონომია გაუწევია.**

ბრიგადის სასახელო შრომითი მიღწევებისათვის ამას წინათ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება მიანიჭეს.

გაბედული აზრისა და მოუღლელი მკლავის ვაჟკაცები ახალი იერიშისათვის ემზადებიან შვიდწლედის მესამე წელს. მათ დამატებით იკისრეს ახალ წელს მუშაობის სიმძიმე გადაიტანონ დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე და ამით გაათავისუფლონ სულ მცირე 10 კაცი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად.

# 1960

**თბილისში** დაიწყო ორგანული სასუქების ქარხნის მშენებლობა. მისთვის გამოყოფილია რამდენიმე ათეულ მილიონზე მეტი მანეთი.

**საქართველოს** უდიდესმა ჰიდროელექტროსადგურმა ლაჯანურჰესმა მოგვცა პირველი დენი. ამგვარი ტიპის ნაგებობა პირველია საბჭოთა კავშირში.

**ქუთაისის** ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი".

**ქ. რუსთავის** 140 ოჯახის სამზარეულოებში აინთო ყარადაღიდან მიღებული ბუნებრივი გაზი.

**ტყიბულის** სტალინის სახელობის შახტში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სამთო ჰორიზონტი. აქ დიდ სიღრმეზე მოეწყო ელექტროსადგური, ელმავლების დეპო და წყლის სატუმბავი სადგური.

**ახალციხეში** ამუშავდა ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელმაც 1960 წელს გამოუშვა 1 მილიონ პირობით ქილა კონსერვზე მეტი.

**თბილისის** ქარხანა „ელექტროგამზომების" კოლექტივმა აითვისა სამგზავრო ელექტროუთოების წარმოება და დაიწყო მათი მასობრივი გამოშვება.

**საექსპლოატაციოდ** გადაეცა სამტრედიის კერამიკული მილების ქარხანა. საწარმო წლიურად ასობით ტონა კერამიკულ მილებს უშვებს.

**მცხეთაში** ჩადგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წნორის მექანიკური ქარხანა. აქ ამზადებენ ავტომანქანა „კაზ-585"-ის ნაწილებს.

# შრომით ასახელეს მამული

## ხელფასი დანაზოგიდან

ერთი წლის წინათ, როცა ვასილ პაპინაშვილის ბრიგადას კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება მიანიჭეს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალ-სამშენებლო ქარხანაში არავის გაჰკვირვებია. ყველამ კარგად იცოდა ვასილის ბრიგადის ვაჟკაცური შემართება და საქმისადმი ერთგულება.

1960 წლის მაისის 12 რიცხვი იყო. ვასილმა ბრიგადის წევრები გააფრთხილა, შესვენებიდან მალე დაბრუნდით, უნდა მოვითათბიროთო.

— უცნაურ წინადადებას წამოაყენებ, ახალ თავსატეხს გამოგვიჩენ, გაუმეორეს ბიჭებმა და სასაუზმოდ წავიდნენ.

ამწყობი საამქროს ოსტატების ოთახში შეიკრიბნენ. პარტია და მთავრობა, — თქვა ვ. პაპინაშვილმა, — დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ეს



ერთხელ კიდევ ცხადად დადასტურდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, რომელმაც მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმების შესახებ, სესიის მასალებში ისიც არის ნათქვამი, რომ ამ გადასახადების გაუქმების შემდეგ სოციალისტური დაგროვება სახელმწიფოს ერთადერთი წყარო ხდება. ჩვენ ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ამ დიად საქმეში.

მე ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი გავითვალისწინე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შეგვიძლია ხელფასი მივიღოთ დანაზოგიდან.

ვასოს იმედი არ გაუცრუვდა. ბრიგადის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბრიგადის დაპირება ლიტონი სიტყვა როდი გამოდგა. წლიური დავალება ერთი თვით ადრე გაანაღდეს, წარმოებაში დანერგეს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება და მიიღეს **139.434 მანეთის ეკონომია. ამ თანხამ ბრიგადის საერთო გამომუშავებას 11 თვეში 65.820 მანეთით გადააჭარბა.**

## ყველას გაუსწრო

როცა ა. ფანცულაიას ბრიგადას კომუნისტური შრომის საპატიო წოდება მიანიჭეს, ეს ამბავი უცბად მოედო მთელ ქარხანას. ილია ტაბატაძემ თავისი ხელშემწყობები იხმო და უთხრა:

— ჩვენ რა, მაგათზე ნაკლები ბიჭები ვართ? მაგრამ ახლა რა გვეთქმის! 50 ტონა ფოლადით წინ არიან.

— მაგრამ არ შეშინდეთ, — ეტყოდა ხოლმე ბიჭებს. — გამარჯვება მხოლოდ მამაცურ შრომაში იჭედება. მუშაობდნენ ბიჭები, დაღლა არ იცოდნენ რა იყო. გამოცდილება საკუთარიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ სხვის უკეთეს გამოცდილებას მაშინვე ნერგავდნენ, ხედავდნენ მის უპირატესობას.

როცა მიზანი დიდებულია, არ შეიძლება შედეგიც დიდებული არ მოჰყვეს, და დღეს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის გულის — მარტენის საამქროში ყველაზე კარგი მაჩვენებელი ი. ტაბატაძის ბრიგადას აქვს. **გეგმის გადამეტებით 4.000 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადი გამოადნო.**

ფოლადის დნობის ხანგრძლივობად დადგენილია 10 საათი, მაგრამ ი. ტაბატაძემ ეს დრო 8 საათამდე დაიყვანა.

დაკვირვებული მუშაობის შედეგად ბრიგადის წევრებმა მინიმუმამდე შეამცირეს ლითონის დანაკარგები, რითაც მიღწეულია ლითონ-კაზმის დიდი ეკონომია, თერთმეტ თვეში დაზოგილია 300 ტონაზე მეტი ლითონი, რაც 125 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.



ი. ტაბატაძის ბრიგადის მიღწევებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ამ სახელოვანი მეფოლადეების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა. ეს არის ყველაზე მეტი ჩქაროსნული დნობა საამქროში. **მარტო უკანასკნელ ოთხ თვეში ბრიგადამ 65 ჩქაროსნული დნობა განახორციელა და ამ მხრივაც სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია.**

• • •

სურათზე: ზემოდან ქვემოთ — ი. ხაზარაძე, ვ. პაპინაშვილი და ი. ტაბატაძე.

# წითელი ფერისა

პარტიის რაიონული კომიტეტის კიბიდან თითქმის ჩამოიქროლა ახალგაზრდა კაცმა, ერთხანს შედგა, ჩაიყო ხელი მარცხენა ჯიბეში და იქიდან სათუთად ამოიღო წითელი ფერის პატარა წიგნაკი. უყურებს ამ წიგნაკს და კმაყოფილებით ეღიმება, სიხარულისაგან ამ წიგნაკის ყდასავით წითლდება, ათვალიერებს მის მოლურჯო ფურცლებს და უხარია, რადგან დღეიდან იგი ამ სანუკვარი წიგნაკის მფლობელია. რა უნდა იყოს მისთვის ამაზე დიდი საახალწლო საჩუქარი? პასუხს თავისსავე გულში პოულობს და თითქოს ჩურჩულებს — მე ხომ ახალ წელს ვხვდები, როგორც კომუნისტი?

ქურხან გიორგობიანს, თბილისის პლასტმასის ქარხნის მოწინავე ზეინკალს და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებულის მეოთხე კურსის სტუდენტს გახურებულ შრომასა და სწავლაში თვალსა და ხელს შუა გაეპარა ძველი, 1960 წელი. სახარატო თუ სარანდავ ჩარხებთან, ჰიდრავლიკურ წნეხებთან ყოველდღე ჯარასავით ტრიალებს ქურხანი, ყველაფერს სწვდება კვალიფიციური ზეინკლის ხელი, ყველაფერს ასწრებს.

— გაცვდა ჰიდრავლიკური წნეხის საყელური. ვინ გამოჩარხავს ახალს?

— ქურხანი!

— სახარატო ჩარხი დაზიანდა. ვინ შეარემონტებს უფრო სწრაფად?

— ქურხანი!

და ასეა ყოველდღე მექანიკურ საამქროში... ქურხან გიორგობიანს ყველა ენდობა, სჯერათ მისი ოსტატობისა და მუყაითობისა. რამდენი მადლობა და მოწონება დაუმსახურებია დირექციისა, ამხანაგებისა, რამდენჯერ შეუქია იგი ძველ კომუნისტს ელექტროშემდუღებელ ვასილ მელიკოვს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაუწია რეკომენდაცია პარტიაში წევრად მიღებაზე, რამდენჯერ აღტაცებულა მისი შრომით გამოცდილი ზეინკალი პავლე ლუშანოვი, რომელთანაც პირველად დაიწყო დასტატება, როგორც ზეინკალმა! ახლა კი...

დეკემბერმა თითქოს გვირგვინი დაადგა მოწინავე ახალგაზრდის შრომას. ჯერ იყო და, 18 დეკემბერს სახალხო მსაჯულად აირჩიეს, ახალი წლის წინადღეებში კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს...

ახალგაზრდა კაცის ეს სიხარული გულწრფელად გაიზიარეს მისმა მეუღლემ ლუბამ — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფეიქარმა და უმცროსმა დამ ზოიამ — პლასტმასის ქარხნის მუშამ. ისინი ხომ კომკავშირლები არიან და ოცნებობენ ქურხანივით პარტიის წევრები გახდნენ.

ქურხან გიორგობიანს ამ საახალწლო სიხარულს გულწრფელად ულოცავენ მისი განუყრელი მეგობრები — თანამოსაქმეები რევაზ სირაძე, შალვა ბაზლაძე, ბიჭიკო სალარიძე და სხვები, რომლებიც კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან, ქურხანს ულოცავენ ქარხნის მთელი კოლექტივი, თანაკურსელი სტუდენტები.

**ბ. ვასილაძე.**



დედის სიხარული
ნახ. ი. ქოქიაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის გაზაფხული

ფანჯრიდან ჩანს აღმოსავლეთით ჰორიზონტამდე გადაფენილი მკვდრეთით აღმდგარი და გაცოცხლებული სამგორის ველი. ჩანს ვენახები, არხების ქსელი, კვლავ ვენახები, ბაღები, ახალგაზრდა ტყის მასივები და ჭეჭილი...

ხშირად იტყვიან ხოლმე, საქართველოში უზნეო ზამთარი იცისო. მართლაც უზნეოა ქართული ზამთარი, ხშირად ისე გაიპარება, რომ საგუნდაო თოვლსაც არ გვაღირსებს, მზეს ძალიფათს ვერ გაუხუნებს და გაზაფხულს შეუმჩნევლად შემოკვაპარებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ მისი ეს უზნეობა წამალივით სანუკვარია ჩვენი მშენებლებისათვის. სწორედ ამაზე საუბრობენ ინჟინრები ამ შუადღის შესვენების დროს მთავართბილმშენის მეექვსე სამშენებლო სამმართველოს უფროსის გიორგი თვალავაძის „კაბინეტში".

ეს სამშენებლო სამმართველო აშენებს თბილისის ახალსა და დიდს, სანიმუშოდ კეთილმოწყობილ საცხოვრებელ უბანს კახეთის ნავთლუღში, სამგორის სივრცეების დასაწყისში, ჯერ კიდევ გუშინდლამდე თავისუფალ, შიშველ ველზე.

თხუთმეტი 48 და 36-ბინიანი უზარმაზარი საცხოვრებელი კორპუსია უკვე აქ აღმართული. 18 სხვა ასევე მრავალბინიანი და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი დღეს და ხვალ უნდა ჩააბარონ მშენებლებმა ქალაქს მობინადრეებისათვის საახალწლო საჩუქრად გადასაცემად... ტრაქტორები და ბულდოზერები ქუჩებში „ბოლთასა სცემენ", სატროტუარე და სავალი ვაკისებისათვის, საგაზონე და საკვარტალე ბაღების გასაშენებლად სამუშაოებს ასრულებენ.

ქალაქის, ჩვენი მშობლიური თბილისქალაქის ზრდას მკაფიოდ დაეტყო ახალი მიმართულება. აი, მაგალითად, წელს მთავართბილმშენის მარტო მეექვსე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ააშენა და ქალაქს შემატა იმდენი საცხოვრებელი ფონდი, რამდენიც 1953 წელს ჩააბარეს მაშინდელი თბილისმშენის ყველა სამშენებლო სამმართველოებმა. მარტო ამ უბანში, კახეთის ნავთლუღში (ე. წ. მესამე მასივზე) 1960 წელს მობინადრეებმა უკვე მიიღეს 35.794 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მომპირკეთებლები დიდ ფუსფუსში არიან. თუ უფრო ადრე არა, ახალი წლის წინადღეს მაინც მობინადრეებს უნდა დაახვედრონ გაკრიალებული, გასუფთავებული და გამზადებული ბინები მესამე საცხოვრებელი კვარტალის მეორე, მეოთხე, მეშვიდე, მერვე კორპუსებში, სულ ცხრა 48-ბინიან და ოთხ 36-ბინიან სახლში,

— ისე გავაკეთოთ ყველაფერი, ისე საგულდაგულოდ, ისე ბეჯითად, რომ საახალწლო სუფრაზე აწეული ერთ-ერთი პირველი სადღეგრძელოთი ჩვენი ამაგიც გაიხსენონ ამ სახლებში ჩასახლებულებმა, — ეუბნებოდა მომპირკეთებლებს მშენებელთა პარტიული ორგანიზაციის მდივანი სერგო ზოზირაშვილი...

მშენებლობა ზაფხულის ტემპით მიდის. ქუთაისური თვითსაცლელებისა და „მაზების" ქარავნები განუწყვეტლივ ეზიდებიან შენობათა სასაფუძვლე და საკედლე ბლოკებს, ათასგვარ სამშენებლო დეტალებს. ქვემოთ, კახეთის გზატკეცილის გასწვრივ, ექსკავატორებს და მიწისსათხრელ სხვა მექანიზმებს ერთი ორომტრიალი აქვთ, ახალი საცხოვრებელი კვარტალების გასაშენებლად სასაფუძვლე ტრანშეებს თხრიან, მიწისქვეშა კომუნიკაციებს ამზადებენ, რათა მშენებლებმა დაუყოვნებლივ გადაინაცვლონ ჩაბარებული სახლებიდან ახალი სახლების კედლების ამოყვანაზე...

აქ კი, გიორგი თვალავაძის „კაბინეტში" კვლავ გრძელდება ინჟინრების საუბარი, საქმიანი და მეტად საინტერესო.

ინჟინერი გაბრიელ ქართველიშვილი — მთავართბილმშენის უფროსი ამბობს, რომ თბილისის მშრომელებმა შარშან მარტო მთავართბილმშენის მიერ აშენებულ სახლებში 70 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. წელს მიიღებენ სულ ცოტა 90 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს, ხოლო გაისად, შვიდწლედის მესამე წელს, კიდევ უფრო მეტს. მაგრამ თბილისში საბინაო მშენებლობას ხომ სხვებიც ეწევიან — საბინაო-კოოპერაციული ამხანაგობები, ინდივიდუალური ბინათმშენებლები.

ახალი საცხოვრებელი უბნები აღმოცენდნენ კახეთის ნავთლუღშიც და დიღმის ველზეც, ღრმაღელეშიც და ქვემო ავჭალის მინდვრებზეც, თბილისის ზღვის გადმოღმა სივრცეებზეც და სოლანლუღშიც, საბურთალოზეც და ვაჩიანის მხარესაც. ვფიქრობთ, 1961 წლის განმავლობაში ამ ახალ უბნებში მარტო ჩვენ — მთავართბილმშენმა 100 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სახლები ავაშენოთ, — თქვა ქართველიშვილმა.

და როდესაც კახეთის ნავთლუღში თუ საბურთალოზე, დიღმის ველზე თუ ქვემო ავჭალაში აღმართულ მშვენიერ სახლებში ახლადშესახლებული მობინადრეები საახალწლო სუფრაზე მხიარულებას მიეცემიან, მოდი ნუ დაივიწყებენ თბილისის განაშენიანების განმახორციელებლებს, ისეთ მოწინავე, ენთუზიასტ თბილისელ ბინათმშენებლებს, როგორიც არიან მეარმატურე დიმიტრი პაპუნაშვილი და კალატოზი ვანო ლალიაშვილი, დურგალი შაქრო პაპაშვილი და მჭედელი, კიბეებისა და აივნების მოაჯირების მკეთებელი მირონ დოროზდოვი, მებათქაშე გიორგი მიკირტუმოვი და ხურო ზურაბ გაჩეჩილაძე, ნურც მათს ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკოსებს დაივიწყებენ — გივი კვიჟიძეს, ნიკო მელიქიშვილს, ოთარ ორაგველიძეს და მრავალს სხვას,

...ფანჯრიდან ჰორიზონტამდე ჩანს თვალუწვდენი სივრცე. იზარდოს, აყვავდეს ჩვენი თბილისი. მის წინაშე გადაშლილია ზრდის ეს დიდი სივრცე.

**დ. ლომთაძე.**

ნოდარ გურეშიძე

## სამშობლოვ ჩემო!

ელვარებს ზეცის
ულრუბლო ნათელი,
თვალები ხალისით
ელავს და ბრწყინავს;
მომილოცნია,
ჩემო საქართველოვ,
ახალ გამარჯვების,
ახალწლის დილა!

ლექსი კი არა,
ეს სადღეგრძელოა,
ქუბათა-ქებაა,
ოდაა მისი,
ვინაც უდაბნო
აქცია მდელოდ და
მოხატა ქვეყანა
დიდების ღირსი.

რაკეტა ვინაც
კოსმოსში გასტყორცნა,
დაზგაზე, მინდორში
აბრუნა ხელი,
მშვიდობისათვის
მსოფლიოთ დალოცა,
იმედით აღავსო
სამყარო მთელი.

მისი, ვისითაც
ყოველი ნანატრი,
ყოველი ოცნება
სიკეთედ ახდა;
ვინაც გვინათებს
მომავალს მარადის,
ვინაც შუქურაა
მსოფლიოს ხალხთა.

სულ ახალ-ახალ
მწვერვალებს ვეძებდეთ,
ვიფრინოთ მთვარის და
ვარსკვლავებს ზემოთ;
ახალწლის დილას
კვლავ შენ გადღეგრძელებ,
ძველო სიყვარულო,
სამშობლოვ ჩემო!



მშვიდობა მსოფლიოს!

ნახ. გ. ლომიძისა.

# დილა მშვიდობისა, ახალო წელო!

დილა მშვიდობისა, ახალო წელო!

კეთილის მეტი რა გვეთქმის ძარშახლელ წელზე, იგი გოლიათური ნაბიჯით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მისი ოქროს ნაკვალევი ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ქუჩებს დააჩნდა, ყველგან ია და ვარდი აოჰფინა, ახალი სასახელო საქმეები დათესა და ხალხმაც მოიმკა.

წარსულში თუ ჩვენი ერის სულიერი მამები უკან მიტოვებულ წელს ბებრუცუხას, უბედურს, უმადლოს, ილაჯგაწყვეტილს უწოდებდნენ, ანდერძს უგებდნენ, ქვასა და ქოქოლას აყრიდნენ, დღეს შებრუნებით ითქმის ძველ წელიწადზე. იგი ვაჟკაცია და მისი დიდი საქმენი კეთილად გადაეცემა შთამომავლობას.

დილა მშვიდობისა, ახალო წელო!

გახედეთ ჩვენს რესპუბლიკას. ძომძეს, მოყვარეს ახარებს, აღაფრთოვანებს, სიხარულს გვრის, ხოლო მტერს და ორგულს შხამს ანთხევინებს ინდუსტრიული საქართველოს გიგანტური მაჯისცემა, საკოლმეურნეო მინდვრების დოვლათი და ბარაქა, ჯანმრთელობის კერები — ულამაზესი კურორტები. ამის შემხედავი კაცი ედემში გრძნობს თავს, და ჩემს ქვეყანაში ჩვენი საუკუნის სამოცდაერთი წლის პირველ დღეს მართლაც ზამთარში გაზაფხულია.

დილა მშვიდობისა, ახალო წელო!

„ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო", — უთქვამს მამა-პაპას, და შენც იხარე, იძლიერე, იდღეგრძელე. შენი ყოველი ნაკვალევი დევის ნაფეხურს ჰგავდეს, სადაც მიხვიდე, სითბო, დოვლათი, კაცთმოყვარეობა და მშვიდობა მიიტანე. ამრავლე სახელგანთქმული მამულიშვილების რიგები, მათ კიდევ უფრო გაემდიდრებინოთ მეცნიერების არსენალი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შექმნათ ახალი ფართო მხატვრული ტილოები; ქართველ მუშას მეტი ფოლადი გამოედნოს, მრავალი ავტომანქანა, ელმავალი და მრეწველობის სხვა პროდუქცია დაემზადებინოს; ქართველი გლეხის მადლიანი მარჯვენით მიღებულ დოვლათს ბედლები ვერ იტევდეს,

დილა მშვიდობისა, ახალო წელო!

იმიტომ მოგმართავ „დილა მშვიდობისაო", რომ ვარამგამოვლილ ჩვენს წინაპრებს ენატრებოდათ თავისუფალი და მშვიდი ცხოვრება. როდესაც დილით თვალს გაახელდნენ, ერთმანეთს „დილა მშვიდობისას" უსურვებდნენ. ეს ორი სიტყვა სინონიმი იყო იმისა, რომ იმ დღეს შინაური და გადამთიელი მტერი არ აოხრებდა საქართველოს — მუხას მუმლი არ დაესეოდა.

დღევანდელ დღეს ადამიანები საახალწლო სუფრას მიუსხდებიან, სიკეთეს, ძლიერებას, დღეგრძელობას უსურვებენ ერსა და ქვეყანას; მოიგონებენ სახელოვან წინაპრებს, იმათ, ვინც სამშობლოს სახელი მთელ მსოფლიოში გატყორცნა. სამმა ქართველმა მოღვაწემ შვიდასორმოცდაათი წლის შემდეგ იერუსალიმიდან პირველად ჩამოიტანა უკვდავი შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც უკვე გავრცელდა და ოჯახებში სატევარივით არის ჩამოკიდებული.

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! — იტყვის ქართველი, გაიღიმებს, ახლადმოვლენილ შოთას სურათს ღიმილით თვალს გაუსწორებს და თანამედროვე ქართველ მწერლებს უსურვებს: ისეთი დიდი პოეტური ტილოები შექმნათ, რომ „ვეფხისტყაოსანს" გვერდით ამოსდგომოდეს; ჩვენს დრამატურგებს ისეთი პიესები დაეწეროთ, რომ ქართული თეატრის რეპერტუარში დამკვიდრებულიყვნენ, დარბაზი ყოველთვის გაჭედილი ყოფილიყოს და მაყურებელს მრავალჯერ ევლოს თეატრში ერთისა და იმავე სპექტაკლის საცქერლად; კინოსტუდია „ქართული ფილმი" „პაპა გიგიასთანა" ფილმებს არ უშვებდეს, რამდენიმე სეანსის ნაცვლად მათი დემონსტრირება თვეობით გაგრძელებულიყოს,

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! ნათქვამია, მზესაც აქვს ლაქებიო, და აბა რა გასაკვირველია, რომ ზოგიერთი მომაკვდავის საქმე ლაქებად აჩნდეს ჩვენს დიდ ცხოვრებას. ამიერიდან შეიძლება კავშირგაბმულობის მუშაობა ისე გამოკეთდეს, რომ, როგორც კი ყურმილს ავიღებთ, ტელეფონი მაშინვე ჩაირთოს, 09 აკრეფისას რამდენიმე წუთობით არ დავლოდებოდეთ მორიგის პასუხს, საქალაქთაშორისო განყოფილებას მრავალსაათიანი ლოდინით მოთმინებიდან არ გამოეყვანოს აბონენტი, რაც შეეხება ოთხნიშნიან სადგურზე დარეკვას, ამაოდ არ დამაშვრალიყოს ადამიანი. ტყუილი იქნება ვთქვათ, რომ საახალწლოდ მოსალოცი დეპეშები ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს თქვენთვის ამ სადღესასწაულო დღეებში ქართული შრიფტით შედგენილი მოეტანოთ, მაგრამ იმედია ამ წლიდან ესეც გამოსწორდება.

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! მშვიდობის დილა კი გისურვე, მაგრამ ვაი თუ მრავალმა თბილისელმა ფეხი მოიტეხოს ქუჩებში გაზის მილების ჩასაწყობ თხრილებზე. ფიცრები მაინც იყოს გადებული ზედ! ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე რომ გადადიოდე, ანდაზა გაიხსენე — „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო". მოუვლი, დაუბეჯავი გადარჩები, მაგრამ ლაფში ამოსვრას ვერ ასცდები... ასეა, ერთი სამშენებლო ორგანიზაცია მეორეს ელოდება—როდის დაამთავრებს იგი სამუშაოებს, რომ შემდეგ მან დაიწყოს და ისევ აანგრიოს ქუჩები. ჩვენებურად ამას ჰქვია, „მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო".

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! შეხედე პროსპექტის „გმირებს", ჟირაფივით რა ჭრელ-ჭრული ტანსაცმელი აცვიათ, ჯუნგლების ყველა მკვიდრის გამოსახულებებია ზედ აღბეჭდილი. რომელ ქარგონზე ლაპარაკობენ, გაგიძნელდება გაარჩიო, მათი ყაყანის მოსმენისას ყურები წივილს დაგიწყებენ. ლინგვისტებისათვის ჯერ ალბათ უცნობ, საიდუმლოებით მოცულ ენაზე მეტყველებენ. მოდი და ამათ შემხედვარეს გული ნუ გეტკინება.

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! მოხდენილი ქალიშვილები გინდა ნახო? გაგიხარია, კარგები არიან. მათს გმირულ და სასახელო საქმეებს შთამომავლობა ქებით მოიხსენიებს, შრომის რომელ უბანზე არ შეხვდები მათ, გარეგნობითაც წარმტაცნი არიან, მაგრამ ნათქვამია, „ერთი მახინჯი ოჯახშიც გამოერევაო", ზოგიერთებს ისეთი კოსმეტიკა აქვს გაკეთებული, რომ საფრთხობელები გეგონებათ..,

დილა მშვიდობისა, ახალო წელო! ჩვენი ცხოვრების ეს შავი წერტილები წვეთია ზღვაში, ახლა კი მომავალს გავხედოთ, ჩვენი დიადი ქვეყნის მოქალაქენი მამაპაპურად დავლოცოთ, მაშ მარად ახალგაზრდანი ვიყოთ ტკბილად, მშვიდობიანად, სასახელოდ ვიცხოვროთ და სამშობლო ვასახელოთ,

დილა მშვიდობისა, ახალო წელო!..

**ბაკურ ბახტურიძე.**

რევაზ მარგიანი

## ჩემს მამულში

ცხრაასსამოცი მიდის, გვცილდება,
რა უცაბედად თვალწინ დაბერდა!
სიხარულს, ხელხვავს, დოვლათს,
დიდებას
ახალს გადმოგვცემს ვით ესტაფეტას.

გადაიბარე, ნუ შეჩერდები,
მისებრ სიკეთე თესე მამულში,
შენც ალბათ მალე დაგვიბერდები
შრომაში, ლხინში და სიხარულში.

ო, ძველო წელო, ნუ დაღონდები,
რა ვუყოთ მერე, დრონი მიქრიან,
ჩემს სიბერეშიც მომაგონდება
მე შენს კალთაზე რაც მიფიქრია!

წელო ახალო, ერთად ვიქნებით
სიძნელის ბევრის გადამლახველი,
გასტყორცნე უფრო თავდავიწყებით
ჩემი სამშობლო ქვეყნის სახელი!

შენ უფრო დიდი გზა გაქვს სავალი,
გადასალახი — ბევრი მწვერვალი,
გამარჯვებები გმართებს მრავალი,
მოგყავს ორმოცი წლის თებერვალი!

შენ უფრო გმართებს იყო ფიცხელი,
შენ უფრო გმართებს იყო მღელვარი,
მიდი, აილე თავდავიწყებით
სასიხარულოდ ბევრი მწვერვალი.

ძველთან რამდენი დილა გავლიე
შრომაში, ლხინში და სიხარულში!
უბერებელი მრავალჟამიერ
ნურც მომეშალოს ამ ჩემს მამულში.

ცხრაასსამოცი მიდის, გვცილდება,
რა უცაბედად თვალწინ დაბერდა!
სიხარულს, დოვლათს, ხელხვავს,
დიდებას
ახალს გადმოგვცემს ვით ესტაფეტას.

**უჩვეულო** გამოცოცხლება იყო გუშინ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პირველ მექანიკურ საამქროში. მბურღავი ზაურ გნოლიძე მეგობარ-ამხანაგებს რკალში მოემწყვდიათ და გულთბილად ულოცავდნენ გამარჯვებას.

ამ დღეს კომკავშირელმა ზაურ [illegible]



# ოცნება, ფიქრი, მიზანი...

ჩვენი ინტერვიუ

**ვახტანგ ჭაბუკიანი,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.



**გასული** წელი ჩემს შემოქმედებაში უაღრესად მნიშვნელოვანი და ახალი იყო იმ მხრივ, რომ ხელი მოვკიდე ჩემთვის უცნობ საქმეს — კინემატოგრაფიას და ეკრანზე გადავიტანე „ოტელო", რომლის არა მარტო ბალეტმეისტერი და მთავარი როლის შემსრულებელი ვარ, არამედ დამდგმელ-რეჟისორიც. მიხარია, რომ კინემატოგრაფიული დებიუტი გამიმართლდა და ჩემმა კინოპირმშომ, რომლის გასინჯვა ამ დღეებში მოეწყო მოსკოვის კინოს ცენტრალურ სახლში, ცნობილ საბჭოთა კინემატოგრაფისტთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა და მალე უჩვენებენ საკავშირო ეკრანზე. გარდა ამისა, როგორც საბჭოთა კავშირის კინოგაერთიანებამ „სოვექსპორტფილმმა" მაცნობა, ფილმ-ბალეტ „ოტელოს" შეძენის სურვილი გამოთქვა საზღვარგარეთის 80-მდე ქვეყანამ.

ჩემთვის ახლა ყველაზე მთავარია ბალეტ „დემონის" შექმნა, მიხეილ ლერმონტოვის უკვდავი პოემის ქორეოგრაფიული ენით ამეტყველება. მთელი ჩემი შემოქმედებითი შთანაფიქრი ამჟამად მხოლოდ აქეთკენ არის მიმართული...

**ალექსი მაჭავარიანი,**
კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.



**მშვიდობით** ძველო, 1960 წელო! ბევრი რამით გამახარე! 1960 წელს ჩემი ბალეტი „ოტელო" გასცდა საქართველოს საზღვრებს— დაიდგა ლენინგრადში კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და კინოსურათად გადაიღო ვახტანგ ჭაბუკიანმა.

ამჟამად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით დიდი შემოქმედებითი ხალისით ვმუშაობ საბჭოთა ადამიანის პიროვნებისადმი მიძღვნილ სიმფონიაზე. ჩემი მოღვაწეობა ხო იზღუდება წმინდა შემოქმედებითი მუშაობით, კომპოზიტორთა კავშირში და კონსერვატორიაში აქტიური საქმიანობით ხელს ვუწყობ ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედებითს დაოსტატებას, ჩემი უშუალო კონსულტაციით ახალგაზრდა კომპოზიტორმა ირაკლი გეჯაძემ უკვე დაამთავრა თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ოპერა, რომელიც დაიდგმება თბილისის ოპერის თეატრში,

დასასრულ არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ კვლავ ვუბრუნდები შექსპირს, ჩემი ახალი ნაწარმოები იქნება ფილოსოფიური ოპერა „ჰამლეტი".

**რევაზ ჯაფარიძე,**
მწერალი,



**ახალ** 1961 წელიწადს ჩემი „ჯარისკაცის ქვრივის" ორივე წიგნი მზად არის, ათიოდე დღეში მკითხველი მიიღებს „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემულ ორტომეულს, კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირუთის!

წელს ახალი რომანის დაწყებას ვაპირებ, მასალა ისევ სოფლისა იქნება, ოღონდ ცოტა უფრო ადრეული სოფლისა,

მე მახსოვს... თუმცა თავი დავანებოთ იმაზე ლაპარაკს, რაც თვით ავტორსაც ბუნდოვნად წარმოუდგენია.

1961 წლის მანძილზე მარტო რომანზე მუშაობით არ შემოვიფარგლები: დავწერ ნარკვევებს, წერილებს, სტატიებს,

მწერალი ხალხის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, მშობელი მიწის წვენი უნდა კვებავდეს მის ნაწარმოებებს, ეს წმინდა მცნება ყოველთვის წინ წაუძღვება ჩემს ყოველ ახალ სტრიქონს, ყოველ გამოსვლას, ყოველ სიტყვას...

# მწყემსის სალამური

**ავტომანქანა** ივრის ჭალებისაკენ რომ დაეშვა, ჩვენმა თანამგზავრმა, საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს" პარტბიუროს მდივანმა ფარნაოზ კავთუაშვილმა გვითხრა:

— ჩვენ ახლა ჩალაბაშვილებთან მივდივართ, სახელგანთქმულ მწყემსებთან.

— თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ჩალაბაშვილი ერთია, ისიც სიღნაღის რაიონში, — ვუთხარით ჩვენ.

ფარნაოზმა ჯერ ჩვენს მძღოლს, მექანიკოს ომარ მეზვრიშვილს გადახედა, მერე მეცხვარეობის ფერმის გამგეს ლევან როსტიაშვილს ოდნავ ჩაუკრა თვალი და ღიმილით თქვა:

— სწორედ ამას ჰქვია გმირის მრავალსახეობა. ჩალაბაშვილი ერთია, მაგრამ მას ბევრი მიმდევარი ჰყავს.

უკან მოვიტოვეთ შიმშილას მინდორი, სადაც ამ გაზაფხულზე 75 ჰექტარი ახალი ბაღი და 28 ჰექტარი თუთის პლანტაცია გაუშენებია კოლმეურნეობას. აქედან გზა გარეჯის ზეგნისაკენ მიემართება. ავტომანქანა ყრუ გუგუნით მიჰყვება ივრის ჭალებს და შემდეგ ავშნით, ურობალახითა და კაპუეტათი შემოსილ ფერდობზე მისრიალებს.

ლევან როსტიაშვილი ცხრამეტი წელიწადია, რაც მეცხვარეობის ფერმას ხელმძღვანელობს. იგი მოგვითხრობს, რომ ფერმაში წელს მეორედ მიმდინარეობს დოლი. ცნობილი ნოვატორების მალაშენკოსა და ჩალაბაშვილის მაგალითით შარშან ზოგიერთ ბრიგადაში პირველად სცადეს ადრეული დოლი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მივაღწიოთ ორ წელიწადში სამ დოლს, — ასეთი ამოცანა დაისახეს ჩვენი კოლმეურნეობის მწყემსებმა და მიზანსაც წარმატებით აღწევენ.

— მარტო თქვენ ცდილობთ ამას? — შევეკითხეთ.

— არა, ამ პროგრესულ მეთოდს ახლა ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნეობა იყენებს. ეგ არის მხოლოდ, რომ პირველი ნაბიჯი ჩვენ გადავდგით. ხომ გაგიგიათ ქართული ანდაზა: წინა კაცი უკანას ხიდიაო,

ამ ლაპარაკში საზამთრო საძოვრების ის უბანი გამოჩნდა, რომელსაც რატომღაც „გველის წყაროს" ეძახიან. მართალია, ნისლის ნაფლეთები ხანდახან მზის სხივებს ფარავდნენ, მაგრამ ჰაერში მაინც საკმარისი სითბო იდგა.

— წლევანდელი ზამთარი ძალიან ხალისიანი გამოდგა, — ამბობს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ჯემალ მეზვრიშვილი. ასეთი ამინდი ცხვრისთვის არის კარგი. ზამთარმა კუდი თუ არ მოიქნია, ამას რა სჯობს.

— მოიქნიოს რა, — ჩაერია ლევანი, — რას დაგვაკლებს, ზამთრისათვის ასე კარგად არასოდეს არ მოვმზადებულვართ, როგორც წელს. ყოველ ბინაში უამრავი თივა და კონცენტრატები გვაქვს, ცხვრის სადგომები დათბუნებული და დაწკრიალებულია.

...მოზვრისოდენა ქოფაკებმა გზა გადაგვიღობეს, მაგრამ მწყემსის ძახილზე ერთბაშად გაჩუმდნენ და კუდამოძუებულნი გაბრუნდნენ. მესამე ბრიგადაში ვართ, რომელსაც ძველისძველი მეცხვარე იოსებ უტიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადირი ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი ყოფილა, მაგრამ მეტისმეტად ახალგაზრდული შეხედულება აქვს.

—სულ რვაასამდე ცხვარი გვყავს დასადოლებელი. უკვე მიღებულია ოთხმეტი ჯანსაღი ბატკანი. ამ დღეებში დოლი მასობრივად გაჩაღდება, — გვითხრა იოსებმა.

პატარაობაში ყველა პირუტყვი ლამაზია, მაგრამ ბატკანს მაინც ვერაფერი შეედრება, ბამბასავით თეთრი, ფუნჩულა ბატკანი ისე ლამაზია, რომ გინდა გულში ჩაიხუტო, გაათბო. სწორედ ასე ექცევიან მწყემსები, თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ნიავს არ აკარებენ მას,

— როგორ მოგწონთ ადრეული დოლი? — ვკითხეთ იოსებს,

— ახალ საქმეს მომხრეც ჰყავს და მოწინააღმდეგეც. შარშან ჩვენს ბრიგადაში ყოველ 100 დედაცხვარზე 90 ბატკანი მივიღეთ, ხოლო მეშვიდე ბრიგადაში, სადაც ადრეული დოლი ჩაატარეს, ყოველ 100 დედაცხვარზე 121 ბატკანი გაზარდეს, ასე იყო მერვე და პირველ ბრიგადაშიც. ეს შემთხვევითი არ არის.

— მხოლოდ იმას კი ვიტყოდი, რომ ადრეული დოლი უფრო გონივრულ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან. ამ ჭეშმარიტებას არ უნდა დავივიწყებდეთ. აბა გახედეთ, ერთი-ორი წლის წინათ ასეთი რამე სიზმრადაც არავის მოაგონდებოდა, — თქვა იოსებმა და თან ბინის მახლობლად მწვანე ჭეჭილისაკენ გაგვახედა.

— ეს შემოდგომის ქერი გახლავთ, თუ ცხვარს რაიმე გაუჭირდება, მივრეკავთ და მოვაძოვებთ. რაგინდ მძიმე ზამთარი იყოს, ჭეჭილს ცხვარი მაინც მისწვდება, ჩვენ ბინასთან 60 ჰექტარი ქერი გვითესია.

**სულ** საზამთრო საძოვრებზე 500 ჰექტარი ჭეჭილი ღელავს, — დაუმატა ფერმის გამგემ.

დავემშვიდობეთ ბრიგადის წევრებს და გორაკს გადაღმა გავეშურეთ. ნისლი თანდათანობით გაიფანტა და სადღაც გარეჯის მონასტრისაკენ წაფარფატდა, შორს ჩრდილოეთისაკენ, მრავალი მთისა და მდინარეების გადაღმა კავკასიონის ქედი ელავდა თეთრად.

მცირეოდენი თავქვე გავლეთ და კიდევ ერთ ახალ ბინას მივადექით, — ეს ქარუმ ჰინჯარაძის ბრიგადის ბინააო, — გვითხრა ლევანმა, აქაც ავი ძაღლები ჰყოლიათ, განსაკუთრებით ბობოქრობდა ხვადი ქუდა. — ისეთი ღონიერია, მგელს ერთ წუთში წაახრჩობსო, — თქვეს ბიჭებმა. თუმცა ამ მიდამოებში კარგა ხანია მგელი არავის უნახავს,

— რატომ?

— არის ამ არემარეში ერთი მონადირე, სახელად ჰუჰას ბიჭს ვეძახით. სწორედ ეგ არის, მგლის სახსენებელი რომ მოსპო. შარშან ჩემი თვალით ვნახე, ჰუჰას ბიჭმა ძუ მგელი და მგლის ხუთი ლეკვი რომ მოკლა, — გვითხრა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა გიორგი ტიგინაშვილმა.

ძაღლები რომ მოვიშორეთ, ბექობიდან კარგად ჩასკვნილი, მზისა და ქარისაგან სახეგაცრეცილი ბრიგადირი ქარუმ ჰინჯარაძე გამოჩნდა. ტრადიციული სალამ-ქალამის შემდეგ ჯანმრთელობის ამბავი გამოვკითხეთ, თუმცა რა კითხვა უნდოდა, როცა ქარუმას ლოყები წითლად ულაპლაპებდა. ბრიგადირმა კითხვა შეიფერა, გაიღიმა და სოლცრად თეთრი კბილები გამოაჩინა:

— მადლობა ღმერთს, არა გვიჭირს რა, ფერმის გამგე ღვინო-არაყს რომ არ გვიგვიანებდეს...

— როგორი დოლი გაქვთ?

— ჯერჯერობით კარგია. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. მინდორში ჩვილი ბატკნები იწვნენ, ქარუმას ვუთხარით ჩვილები არ გაგიცივდეს, მატყუარა ამინდია.

— ბატკანი რომ რძით გაძღება, მერე იმას აღარა უჭირს-რა. ნეტავი ეს საქმე რომ მესმის, ისე სხვა რამე ვიცოდე, — თქვა ქარუმამ და მერე ჩამოთვალა: დასადოლებელი ჰყავთ 735 დედაცხვარი, უკვე მიღებულია სამოცი ბატკანი, ავ თვალს რომ არ ენახება ისეთი..,

რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი ტიგინაშვილის ბრიგადის ბინაში ვიყავით, აქ მეორედ ატარებენ ადრეულ დოლს.

შორიდანვე შევნიშნეთ, რომ ბინაში ბევრი ხალხი იყო, კოლექტიური შრომა გაეჩაღებინათ დურგლებს, მებეტონეებს, დამხმარე მუშებს. შარშან თურმე ყოველ კრებაზე თუ საუბარში გიორგი ტიგინაშვილი უბინაობას უჩიოდა — ცხვრის ძველი სადგომი სადაც არის ჩამოინგრევა, დამეხმარეთ, თორემ მერე გვიანღა იქნებაო, მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი დუჩიძე დაპირებია, სანამ ახალი დოლი დაიწყება, ბინა მზად იქნებაო, გიორგის ეს არ სჯეროდა,

მერე ამ საკითხზე პარტბიუროს სხდომაზე ყოფილა მსჯელობა, საკითხი გამგეობასაც განუხილავს. სამი დღის წინათ გიორგი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა მის ბინას რამდენიმე ავტომანქანა და ოციოდე კაცი მოადგა, ხეირიანად სალამი არც კი უთქვამთ და მშენებელთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ალექსი კუპუაშვილი ხელმძღვანელობს, მუშაობას შეუდგა. მშენებელთა შორის იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტბიუროს მდივანი, ფერმის გამგე და აგრონომი, ბრიგადირი და რიგითი მწყემსები, გავიდა მხოლოდ სამი დღე, ახალ ბინას გადახურვალა აკლდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს ავტომანქანებმა შიფერი მოიტანეს.

— ბინას ადრევე ავაშენებდით, მაგრამ ცემენტი გვაკლდა, — თქვა ფერმის გამგემ.

— მერე საღ იშოვნეთ?

— ისევ კოლმეურნეებმა გვიშველეს, ხომ იცით, ახლა რამდენი იშენებს საკუთარ სახლს, და ზოგიერთებმა, ჩვენი გაჭირვება რომ გაიგო, თვითონვე მოვიდნენ და გვითხრეს: — წაიღეთ ჩვენი ცემენტი და, როცა გექნებათ, მაშინ დაგვიბრუნეთო,

პირველი ადრეული დოლის დროს ამ ბრიგადაში ყოველ 100 დედაცხვარზე 121 ბატკანი მიიღეს, ამან ძალზე წაახალისა მწყემსები. წელს უფრო მეტი ბატკნების მიღებას ფიქრობენ,

— ახალ ბინას მუშაობაც ახლებური შეეფერება, — გაეხუმრა მეცხვარეებს ფარნაოზ კავთუაშვილი,

ავტომანქანამ ნახევარ საათში მეექვსე ბრიგადაში მიგვაქროლა, აქაც ძაღლების ყეფას ვერ გადავურჩით, მაგრამ სწრაფად გამოგვეგება ხანშიშესული მწყემსი კოტე არჩვაძე.

— როგორი დოლი გაქვთ?

— კარგი ბატკანი მოდის, ძალიან კარგი, — იყო პასუხი,

**ლევანმა** გვითხრა: — კოტე არჩვაძე ორმოცი წელიწადია მწყემსობს და თავი არასოდეს არ შეურცხვენია, ამას წინათ გამგეობამ იგი ბრიგადირად დააწინაურა და იმედი გვაქვს ამჯერადაც გვასახელებს,

ასე შემოვიარეთ იმ დღეს გარეჯის ზეგანი, წიწანგორა და სატაცურიანთხევი, კოდის წყალი და გველის წყარო, ყველგან შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული. ჩვენს ადამიანებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ერთი მთავარი სურვილი — იმუშაონ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ, ხვალ უფრო უკეთესად, ვიდრე დღეს, ასეა აქაც, საგარეჯოელმა მწყემსებმა ადრეულ დოლში 5.954 დედაცხვარი ჩააყენეს, რომლის ნამატს მთლიანად შეინარჩუნებენ. ასეთია მათი ვაჟკაცური სიტყვა ახალი წლის, მიჯნაზე,

დაბინდებისას უკან ვბრუნდებოდით, ზამთრის მზე სადღაც დასავლეთში მიეფარა, გარეჯის ზეგანზე ნიავი არ იძროდა,

— ერთი რამ არის საშიში, — თქვა როსტიაშვილმა, — ამ ადგილებში თებერვალ-მარტში ქარი იცის, ი ტიალი ისე დაუბერავს ხოლმე, რომ დათესილ ხორბალსაც კი ფანტავს, ბატკანს გააცივებს, მაგრამ წელს მაინც ვერას დაგვაკლებს, გინდ ქარიშხალიც ამოვარდეს,

მწყემსთა სახელოვან გამარჯვებაში დარწმუნებულნი ვუახლოვდებოდით ილიჩის ნათურებით განათებულ საგარეჯოს,

**ა. თომაძე.**

## 1960

**საქართველოს** მეჩაიეებმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ვალდებულება, მოკრიფეს 156.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 145.000 ტონისა,

**წითელწყაროელი** მეღორე დავით სეფიაშვილი სტუმრად იყო მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილ ადამიანთან — ლვოვის ოლქის სოფელ სტრუტენის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მეღორესთან იაროსლავ ჩიჟთან,

მათ გააჩაღეს შეჯიბრება მეტი ღორის ხორცის წარმოებისათვის,

**ცნობილმა** მეჩაიემ ტატიანა ტყებუჩავამ ჩაის ფოთლის კრეფის რეკორდი დაამყარა, ერთ დღეს მოკრიფა 435 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

**წითელწყაროელმა** მექანიზატორმა გ. თინაშვილმა რესპუბლიკის მექანიზატორებს მოწოდებით მიმართა ათ სამუშაო დღეში აეღოთ პურეულის მოსავალი.

**სიღნაღელი** მეცხვარე გ. ჩალაბაშვილი ეწვია სტავროპოლელ ცნობილ მეცხვარეს ი. მალაშენკოს, მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება,

**ნიკოლოზ** მანუკოვსკი ეწვია საგარეჯოელ და წითელწყაროელ მექანიზატორებს და პრაქტიკულად გააცნო მათ მექანიზაციის დანერგვის თავისი გამოცდილება,



# გმირთა ოჯახი ხარობს

ძიმითი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა გურიაში. მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ეს სოფელი ისეა მოხატული ჩაისა და ციტრუსების უხვმოსავლიანი პლანტაციებით, რომ წელიწადის ყველა დროს საუცხოო სანახაობას წარმოადგენს.

შეძლებულად ცხოვრობენ აქაური კოლმეურნეები, მათ კარ-მიდამოს ამკობს ორსართულიანი ოდა-სახლები, სუბტროპიკული ბაღები. ძიმითელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გადაჭარბებით შეასრულეს 1960 წლის ყველა დავალება, 1.232 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს ქვეყანას, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 990 ტონისა, ნათესის თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, ასევე ჩინებულად გაანაღდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი.

ბევრი წარჩინებული ოჯახია ძიმითში, მაგრამ მათ შორის საყურადღებოა სოციალისტური შრომის გმირის ელპიტე მგელაძის ოჯახი, რომელსაც სოფელში გმირების ოჯახს ეძახიან. უსიამოვნო სიზმარივით ახსოვს ელპიტეს მეფისდროინდელი წარსულის შავბნელი ცხოვრება, გვიმრით დახურული ფაცხა, შიმშილი, ათასნაირი დამცირება...

— აბა შეხედეთ ამ ვეებერთელა ოდა-სახლს, მორთულ ეზო-მიდამოს, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სევერიან მუხაშავრია, — ჩვენი ელპიტეს მადლიანმა მარჯვენამ შექმნა. წელს ამ ოჯახის შემოსავალი 100 ათას მანეთს სჭარბობს.

ნახულობთ მგელაძეების ოჯახს, და გული ხალისით გევსებათ. ექვსოთახიანი სახლი სავსეა ძვირფასი ავეჯით. ოჯახის თავკაცობა ელპიტემ კარგა ხანია ერთადერთ ვაჟს ვარდენს მიანდო, იგი წარჩინებული ბრიგადირია, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის ნაკისრი ვალდებულებანი. ვარდენის მეუღლე სოციალისტური შრომის გმირი გოგოლა როდი ჩამორჩება დედამთილს. მან წელს 5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. უზომო იყო მგელაძეების ოჯახის სიხარული, როცა ვარდენის უფროსი ვაჟი ფელიქსი უკრაინის სსრ ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა. ახლა იგი მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტია, უმცროსი — ვახტანგი სოფლის საშუალო სკოლის მე-9 კლასში სწავლობს.

ჯერ კიდევ ბევრ ახალგაზრდას არ ჩამოვრჩები,—ამბობს ელპიტე,—წელს 4 ტონაზე მეტი ფოთოლი მოვკრიფე, წელს ჩვენი ოჯახის ბიუჯეტმა 100 ათას მანეთს გადააჭარბა, თავისუფალ დროს ვთათბირობთ, რა შევიძინოთ ამ თანხით. ახალი წლიდან ახალი ფულით 10 ათას მანეთს მივიღებთ. გადაწყვეტილი მაქვს ახალი ფულით მსუბუქი ავტომანქანა შევიძინო: ვარდენს კი უნდა ოჯახის ბიბლიოთეკას 500-მდე სხვადასხვა წიგნები შესძინოს, მისი ფონდი 3.000 ცალამდე აიყვანოს.

ცოტა როდია ძიმითში ისეთი ოჯახები, რომელთა ბიუჯეტი 60-80 ათას მანეთს შეადგენს. ასეთებია სოციალისტური შრომის გმირების თ. ტუღუშის, ს. ქურიძის, სახელგანთქმული მესიმინდის კ. ანდღულაძისა და სხვათა ოჯახები, რომლებმაც პატიოსნური შრომით ბედნიერი ახალი წელი გაითენეს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ეს სურათი გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა. ამ [illegible] ასაკის გოგონებს ეთერ და კონსტანტინა ინაშვილებს მეტად საინტერესო ბიოგრაფიები აქვთ. ისინი დაიბადნენ შორეულ ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში.

მხოლოდ სამიოდე დღის წინ [illegible] ისინი მამამ — ვლადიმერ ინაშვილმა მეუღლესთან — პედრა ფერეირა — ინაშვილთან და დანარჩენ ექვს შვილთან ერთად სამხრეთ ამერიკიდან ჩამოიყვანა.

ორმოცი წელიწადი უცხოობაში ნამყოფი ვლადიმერ ინაშვილი თავისი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად დღეს პირველად ხვდება ახალ წელს საბჭოთა საქართველოში.

**სურათზე:** ეთერ და კონსტანტინა ინაშვილები გატაცებით რთავენ ნაძვის ხეს, რომელიც მამამ ეს-ეს არის მათ საჩუქრად მოუტანა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## 1960

**სპექტაკლ** „ბახტრიონით" მოსკოვის კრემლის თეატრში დაიწყო თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები.

**ქართველმა** ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა დიდი ქართველი პედაგოგისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავი.

**ეკრანზე** გამოვიდა ახალი ფილმ-ბალეტი, „ოტელო", რომლის დამდგმელი-რეჟისორი, ბალეტმეისტერი და მთავარი როლის შემსრულებელია ვ. ჭაბუკიანი.

**იერუსალიმიდან** თბილისში რუსთველის შესახებ საინტერესო ცნობებით დაბრუნდა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი — ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე.

**ქართველმა** ხალხმა ფართოდ აღნიშნა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი.

**თბილისის** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიდგა კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერა „ზვავი", მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი.

**თბილისში** დაიწყო ხალხური თვითმოქმედების IX რესპუბლიკური საიუბილეო ოლიმპიადა.

### ანდრო თევზაძე

## სალამობო

გაზაფხულის წელი დგება,
ზამთარს ცვივა ცრემლი ღვარად,
თოვლის პაპამ ცის გუმბათზე
ვარსკვლავები გადმოყარა.

თანამგზავრნი მთვარეს მკერდზე
ოქროს ბაგეს შეახებენ...
მზის დარბაზში მალე კარებს
კაცნი კრძალვით შეაღებენ.

მშვიდობას და ლხინს და ღიმილს
გადმოჰყრიან ბლუჯა-ბლუჯად,
ფოლადი ფრთას გაჰკრავს ღრუბელს,
ჩაიშვება ზღვაში ლუზა.

მისი შუქი ფრთად ამესხა,
დასციმციმებს ლექსს თუ კალამს;
მის წიაღში გამარჯვების
გზები ელვად გაიკვალა.

ახალწელო, ნათლის მჩენო,
გონებავ და ნიჭო ჩვენო,
შუქით მომრთე, მზით ამავსე,
მწუხრის ლანდი არ მაჩვენო.

შენ ისეთი ფრთავრცელი ხარ,
დედამიწაც არა გყოფნის,
თვით უსაზღვრო სამყაროში
მიჰქრი როგორც ქარაშოტი.

გადალახე ცხრა ცის კალთა
უნისლო და უქარბუქო,
და სამშობლოს მხნე მარჯვენას
ეს გმირობა ვით არ ვუქო?

ვით არ ვმღერდე ხმაგამყივრად,
გულის სიმი ვით არ კრთოდეს?
მინდა ფრთებით ფარშევანგის
გადავევლო მთებს და კორდებს.

ახალი წლის სადიდებლად
და სამშობლოს სალამობოდ,
მშვიდობის გზით ჩვენი წინსვლა
მტერმა ველარ გადალობოს!

გაზაფხულის დგება წელი
სიტყვა ძველი, გული მთელი,
სადღეგრძელო გამოვცალე,
სიყვარულით დავითვერი!

კომუნისტი სპორტი

### პარიზელი მაყურებლის წინაშე

**გუშინ**, ახალი წლის წინადღით, მოსკოვში გაემგზავრნენ თბილისის „დინამოს" ვაჟთა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდები. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა ეს ორი მოწინავე კოლექტივი, რომლებიც მიწვეული არიან საფრანგეთში საერთაშორისო მატჩების გასამართავად, ახალ წელს მატარებელში შეხვდნენ.

თბილისელი კალათბურთელები მოსკოვიდან პარიზში გაფრინდებიან 4 იანვარს და საფრანგეთში 10 დღეს დაყოფენ. საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელებია ნ. ჯალაღანიძე და ვ. დიდიძე. გუნდებს მწვრთნელებად მიჰყვებიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები გ. ავალიშვილი, მ. კეკელიძე და ლ. ძეორნსკი, მსაჯებად — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ლ. ფალავანდიშვილი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი — გ. ქორქოლაძე.

„დინამოს" ვაჟთა გუნდის შემადგენლობაში არიან: ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, გ. მინაშვილი, ა. ლექავა, ვ. უგრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, ი. ხაზარაძე, რ. გოგელია, ვ. ალთაბაევი, გ. აბაშიძე. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი საფრანგეთში მიემგზავრება ნ. ჯარიძის, ც. ჯანელიძის, ლ. ქველიძის, თ. ბადაშვილის, ნ. ტოტიაშვილის, ნ. თიკაშვილის, დ. აბუაშვილის, გ. გრიგორიანის, მ. კაკაბაძის, ვ. იურიევასა და ფ. ჩხეიძის შემადგენლობით.

### ათი საუკეთესო

△ **რუმინეთის** ჟურნალისტებმა 1960 წლის შედეგების მიხედვით შეადგინეს თავიანთი ქვეყნისა და მსოფლიოს ათი საუკეთესო სპორტსმენის სია. რუმინეთის უძლიერესთა ათეულში მათ პირველ ნომრად დაასახელეს ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი იოლანდა ბალაში. მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში რუმინეთის სპორტულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს სსრ კავშირის შტანგისტი იური ვლასოვი, ჰებერტ ელიოტი, ვილმა რუდოლფი, იოლანდა ბალაში, პეტრე ბოლოტნიკოვი, არმინ ჰარი, რალფ ბოსტონი, ბორის შახლინი, ბიკილა აბები, სანტე გაიარდონი.

△ **სსრ კავშირში** 1960 წლის სეზონის გმირად აღიარებულია მსოფლიო რეკორდსმენი იური ვლასოვი (ცსკა, ძალოსანი), მომდევნო ადგილები ხვდათ — მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ბ. შახლინს (ტანმოვარჯიშე), მსოფლიო რეკორდსმენს პ. ბოლოტნიკოვს (მძლეოსანი), ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. კაპიტონოვს (ველომრბოლი), ე. გრიშინს (მოციგურავე), ოლიმპიურ ჩემპიონს რ. შავლაყაძეს (მძლეოსანი), ლ. ლატინინას (ტანმოვარჯიშე), მსოფლიო ჩემპიონს მ. ტალს (მოჭადრაკე), ვ. ბრუმელს (მძლეოსანი), თ. პრესს (მძლეოსანი).



**ბედნიერი სტუდენტობა.**

ფოტოეტიუდი
გ. გოგოხიასი.

### ჟაკ დიუკლო: ხმა მიეცით ომის წინააღმდეგ!

**პარიზი**, 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ტელევიზიით გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ალჟირის ომს.

მებრძოლი ალჟირელები, ხაზგასმით აღნიშნა ჟაკ დიუკლომ, არასოდეს არ დათანხმდებიან დაჰყარონ იარაღი მანამდე, სანამ არ იქნება გარკვეული ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის პირობები და გარანტიები, ალჟირელი ხალხისა, რომელსაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი.

ჟაკ დიუკლომ აღნიშნა, რომ ომი გრძელდება მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის მთავრობა დაჟინებით უარს ამბობს სალი გონებით ნაკარნახევ გადაწყვეტაზე. ამავე დროს ქალაქების მშრომელებსა და გლეხებს მხრებზე აწვებათ ამ საზიზღარი ომის ეკონომიური და სოციალური შედეგების სულ უფრო მზარდი სიმძიმე. ალჟირის ომის შეწყვეტა — აი გზა, რომელსაც მივყევართ საფრანგეთის დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისაკენ, განაგრძო დიუკლომ.

მიმართა რა ფრანგებს, დიუკლომ დასასრულს თქვა: „ხმა მიეცით ალჟირის სისხლისმღვრელი და გამაჩანაგებელი ომის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება ჩვენი თავისუფლებების ნაშთებს.

თქვით „არა", რათა მოითხოვოთ მშვიდობა მებრძოლ ალჟირელებთან კანონიერი მოლაპარაკებით ცეცხლის შეწყვეტისა და თვითგამორკვევის უფლების განხორციელების გარანტიების შესახებ.

განუცხადეთ „არა" პირადი ხელისუფლების რეჟიმს და ამრიგად უჩვენეთ ფრანგი ხალხის დემოკრატიული შეგნება.

## მდგომარეობა კონგოში

**ლონდონი**, 30 დეკემბერი. (საკდესი). კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის ჩასვლის წინ მობუტუ დაჩქარებით ემზადება, თავის ბანდებით შეიჭრას აღმოსავლეთ პროვინციაში.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კივუს პროვინციაში ლუმუმბას მთავრობა „სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს. ქალაქ ბუკავუში (კივუს პროვინციის მთავარი ქალაქი) გარნიზონი თითქმის ერთსულოვნად უჭერს მხარს ლუმუმბას".

**ბელგრადი** 30 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იტყობინება, კანონიერი მთავრობისადმი ერთგულ ჯარებს გენერალ ლუნდულას სარდლობით აღმოსავლეთ პროვინციის გარდა უკავიათ, როგორც ჩანს, კივუს მთელი აღმოსავლეთი ნაწილი, მასთან ქალაქი კინდუ მდინარე ლუალაბაზე.

კორესპონდენტის სიტყვით, ამ ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ქალაქი კონგოლი კატანგის ჩრდილოეთ ნაწილში და ახლა ცდილობენ კავშირი დაამყარონ ლაბუბას ტომის აჯანყებულებთან, რომლებიც ბრძოლას ეწევიან მარიონეტ ჩომბეს წინააღმდეგ.

**პარიზი**, 30 დეკემბერი. (საკდესი). მობუტუს ბრძანებით რეკვიზირებულია ყველა თვითმფრინავი, რომელიც მომსახურებას უწევს კონგოს შინაგან საჰაერო ხაზებს. თვითმფრინავები რეკვიზირებულია იმ მიზნით, რომ მობუტუს ბანდები გადაიყვანონ კასაის პროვინციაში, სადაც მზადდება პლაცდარმი აღმოსავლეთ პროვინციაში შეჭრისათვის.

ხმები სტენლივილზე შეტევის გეგმების შესახებ, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, „სულ უფრო დაჟინებით ვრცელდება" და „როგორც ჩანს, საკმაოდ საფუძვლიანია". მობუტუ, რომელიც ჩავიდა კასაის ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ ლულუაბურგში პარაშუტისტთა დიდი რაზმის თანხლებით, ემზადება, რომ იქ შეხვდეს კასავუბუს.

### ტელეგრაფი გვატყობინებს

**ნიუ-იორკი**, 30 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფალთა ბრძანების საფუძველზე კორპუს-კრისტის (ტეხასის შტატი) ნავსადგურში კონფისკაცია უყვეს კუბის ტანკერ „მარ კარიბეს", რომელიც ტვირთით ბრუნდებოდა კანადიდან.

**ჰანოი**. 30 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ დღეს უარყო როგორც წმინდა წყლის მონაჭორი შეერთებული შტატებისა და მათი სატელიტი ზოგიერთი სხვა ქვეყნის პროპაგანდის ორგანოების ცილისმწამებლური ცნობები, თითქოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ერევა ლაოსის საშინაო საქმეებში და რომ მან გაგზავნა თავისი ჯარები ვიენტიანის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

საერთაშორისო დღეები, ცნობები, მიმოხილვა — ცხოვრება

## ალჟირში გრძელდება მღელვარება

**პარიზი**, 30 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის სიდიდით მეორე ქალაქში ორანში 28 დეკემბერს კვლავ მოხდა არაბი მოსახლეობის შეტაკებანი საფრანგეთის ჯარებთან.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, მას შემდეგ, რაც 28 დეკემბერს საღამოს შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი 21 საათიდან, ლამიურის რაიონში ალჟირელებმა გამართეს დემონსტრაცია. საფრანგეთის ჯარისკაცებმა სცადეს დემონსტრანტების გარეკვა, რისთვისაც გამოიყენეს იარაღი. ერთი ალჟირელი მოკლულია, მეორე მძიმედ არის დაჭრილი.

ქალაქის სხვა რაიონში სროლა ატყდა ალჟირელ პატრიოტებსა და ფრანგ ჯარისკაცებს შორის.

ქალაქის იმ რაიონებში, სადაც ალჟირელი მოსახლეობა დემონსტრაციებს აწყობს, ხელისუფალნი სასწრაფოდ განალაგებენ სპეციალურ „პოლიციურ რაზმებს მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად" და უცხოელთა ლეგიონის ქვეგანაყოფებს. ღამის განმავლობაში დააპატიმრეს 20-მდე არაბი. დღეს მათი უმრავლესობა გამოუშვეს, მაგრამ სამი ჯერ კიდევ დაპატიმრებულია და აბრალებენ კომენდანტის საათის დარღვევას.

გუშინ, ფრანს პრესის ცნობით, რაიონებში, სადაც შეტაკებები ხდებოდა, მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. ქუჩებს პატრულობდნენ „უშიშროების ჯარების" დიდი ძალები.

## ოკეანემ თანაუგრძნო მეზღვაურებს

**მოსკოვი**, 30 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა მეზღვაურების დაძაბული ბრძოლა ტანკერ „ეგორიევსკის" გადასარჩენად, რომელსაც ბისკაის ყურეში ავარია მოუვიდა, დასასრულს უახლოვდება. ტანკერ „ფრიდრიხ ენგელსიდან" გემზე გაიყვანეს და საიმედოდ დაამაგრეს ბუქსირის მეორე გვარლი. ოკეანემ თითქოს თანაუგრძნო მეზღვაურებს. ჯერ კიდევ გუშინ გემი ძლიერი ქარისა და ტალღების გამოდრეიფობდა და თავის კურსს შორდებოდა.

— დღეს შტორმი რამდენადმე ჩადგა, ზღვაზე მხოლოდ ხუთ-ექვს ბალიანი რხევაა, — რადიოთი იტყობინება „ფრიდრიხ ენგელსის" კაპიტანი ნ. კრესლოვი.

„ეგორიევსკზე" უკვე გადასხდა მისი ეკიპაჟის ნაწილი კაპიტან მ. ფომინის მეთაურობით. ეკიპაჟი ყოველ ძალღონეს ხმარობს, რათა ამოტუმბოს წყალი დატბორილ სათავსებიდან და შეამციროს გემის დაგვერდება. აღდგენილია შუქნიშნები. მალე აამოქმედებენ ხელით საჭესამართს. ბუქსირების სიჩქარე გადიდებულია.

გემები საფრანგეთის ნაპირების გასწვრივ მიდიან. 30 დეკემბერს ღამით „ეგორიევსკ" მიიყვანენ სენ-ნაზერის ნავსადგურის რეიდზე. იქითკენვე მიიჩქარიან ბალტიკიდან ჩვენი მაშველი გემები.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

1 იანვარს

**თეატრები**: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის წითელქუდა (დღისით), დაისი (მე-2 აბ., მე-4 წარმ., საღამოს), რუსთველის სახელობის — ამბავი (სიყვარულისა (დღისით და საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), ჩარლის დეიდა (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — სახიფათო ასაკი (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი (დღისით და საღამოს, რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — სახელგატეხილნი (აბ. № 6).

**ტელევიზია**: 12.00 — „საახალწლო ნაძვისხის ლამპიონები", 12,30 — საახალწლო ფილმი — „თოვლის ზღაპარი", 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — კინოვიქტორინის საახალწლო გამოშვება, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — კონცერტი, 21.00 — ქართული კინოფილმების ფესტივალი — კინოკომედია „ქეთო და კოტე" (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის გამო).

**კინოები**: რუსთველის სახელობის, ოქტომბერი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი, გაზაფხული — თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის, ამირანი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი) — მეგობრები ბოშათა ბანაკიდან, სპარტაკი — ყველაფერი ევას შესახებ, ისანი — ნამუსი, თბილისი —ძლიერნი ამა ქვეყნისანი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, თეატრალური საზოგადოების ბაღი — ციხე-სიმაგრის საიდუმლოება, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — მთის მარში, საქართველო (მწვანე დარბაზი) — მრისხანე ღამეები,

## ფასეულობათა გადაფასების დრო

**ჯონ ტომასი,**
ამერიკელი პუბლიცისტი.

★

შეერთებულ შტატებში და, მე ვფიქრობ, ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც, ახალი წელი საბაბია არა მარტო დღესასწაულისათვის, არამედ თვითანალიზისთვისაც.

იგულისხმება, რომ თვითეული შეფასებას აძლევს გასულ წელში დაშვებულ თავის შეცდომებს და აყალიბებს მოქმედების პროგრამას ახალი წლისათვის. „საახალწლო რეზოლუციები" — ასე უწოდებენ შეერთებულ შტატებში ამ პროგრამებს. მათ, რა თქმა უნდა, ზოგჯერ მაშინვე ივიწყებენ. უნდა გამოვტყდე, რომ მეც დამავიწყდა — და ვის არ ავიწყდება — რამდენიმე ამგვარი პროგრამა „თვითსრულყოფისა".

რამდენადაც მე-60 წელი მიიწურა, შეერთებულ შტატებს როგორც ერს, ჩანს, განზრახული აქვთ ჩამოაყალიბონ თავიანთვის მორიგი ასეთი პროგრამა.

ადამიანთა განწყობილებას შეშფოთების ნიშანი აზის — ქვეყნის საქმეები კარგად ვერ მიდის, ამერიკის სახელმწიფო ხომალდი, დახელოვნებულ მესაჭეს მოკლებული, აქეთ-იქით აწყდება ქარიშხლით აბობოქრებულ ზღვაში.

ქვეყანა თვითშეფასების და თვითკრიტიკის ღრმა პროცესს განიცდის.

„მიზნის აზრისა" და „ეროვნული მიზნების" ძიება — ოფიციალური გამოკვლევების, წიგნებისა და მრავალი საგაზეთო სტატიის საგანი — ეროვნულ განწყობილებას ასახავს.

ამ ფართო დისკუსიის ცენტრალური თემაა ის უცილობელი ფაქტი, რომ სოციალისტური სამყარო სწრაფად და მიზანსწრაფულად ვითარდება და მძლავრი მაგნიტივით იზიდავს ქვეყნებსა და ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ თავიანთი ადგილი, მაშინ როცა კაპიტალისტური სამყარო, როგორც ჩანს, მოკლებულია უნარს წამოაყენოს ასეთივე ძლიერი მოწოდება.

რეგრესმა ეკონომიურ სფეროში აგრეთვე შეუწყო ხელი ეროვნულ განწყობილებას სახელმწიფო პოლიტიკის გადასინჯვისა და გადაფასებისათვის. ამერიკის ოქროს დიდმა დანაკარგმა და დოლარის შესაძლო დევალვაციის შესახებ მითქმა-მოთქმამ შეაშფოთა ამერიკელები, რომლებსაც დოლარი მუდამ ჰიბრალტარის კლდეზე უფრო მტკიცედ მიაჩნდათ. არანაკლებ აღელვა ისინი ახალი ეკონომიური დაქვეითების დაწყებამაც, რომელმაც ამერიკის სამრეწველო წარმოება შეამცირა ხუთი პროცენტით, მაშინ როცა სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 10 პროცენტით გაიზარდა.

პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის დროს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და მისი პროტეჟე ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი ცდილობდნენ ეჭობნათ განთქმული ფრანგი ფილოსოფოსის მახვილგონიერი ვოლტერის ბრწყინვალე რომან „კანდიდის" გროტესკული გმირისათვის. დოქტორი პანგლოსი მუდამ განიცდიდა დამარცხებათა სიმწარეს, მას უბედურება უბედურებაზე ეწეოდა ხოლმე, მაგრამ მუდამ საზეიმოდ აცხადებდა, ყველა შესაძლო მდგომარეობიდან ჩემი მდგომარეობა საუკეთესოაო. დოქტორი ეიზენჰაუერი დროდადრო ტოვებდა გოლფს და არწმუნებდა ამერიკელ ამომრჩევლებს, რომ მისი ქვეყანაც ყველაზე კარგია და ამ ქვეყნის მართვაც საუკეთესოდ წარმოებს. თვითეულ დამარცხებას იგი ტრიუმფად აცხადებდა, ხოლო მიყენებულ ჭრილობებს — მშვენიერ სამკაულად.

მაგრამ ამერიკელი ხალხი ამაში უკეთ გაერკვა და დაამარცხა ეიზენჰაუერ-ნიქსონის „გუნდი".

დემოკრატიული ტრადიციები ძლიერ სიცოცხლისუნარიანია ამერიკელ ხალხში. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დიდი ამერიკელი მწერალი რალფ ვ. ემერსონი ამერიკის „ეროვნულ მიზნებს" განსაზღვრავდა როგორც მისი დროის პროგრესულ ადამიანთა ქმნილებას. „მე მინდა, — წერდა იგი, — ვიხილო ამერიკა კეთილისმყოფელად, როგორიც არცერთი ქვეყანა არა ყოფილა... ვიხილო შრომა, გადასახადებისაგან თავისუფალი. ბოლო მოვუღო მართვა-გამგეობის ხელოვნებისადმი, ზერობისადმი თაყვანისცემას; აღმოვფხვრა სასახლეები და მონოპოლიები; მოვსპო სახრჩობელები, დავწვა წყეული საკანონმდებლო წიგნები, ჟადალა მოვხსნა იმიგრაციას; ფართოდ გავაღო კარი ზღვებისა და მინდვრებისაკენ..."

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ემერსონმა ეს სტრიქონები დაწერა. მაგრამ ისინი კვლავ გამოხატავენ იმას, რასაც ამერიკელთა უმრავლესობა თავის კრედოდ მიიჩნევდა.

რა დიდია კონტრასტი ამ კრედოსა და ამერიკის მთავრობის პრაქტიკას შორის ამჟამად! ხალხის განთავისუფლებისა და „მართვა-გამგეობის ხელოვნების" გაუქმების ნაცვლად შეერთებულ შტატებს თავიანთი სამხედრო ძლიერებით ხელისუფლების სათავეში ჰყავთ ფრანკო და ჩან კაი-ში, სურთ დაანგრიონ თავისუფალი კუბა და ცდილობენ კოლონიური ბორკილი დაადონ კონგოს. „მონოპოლიების მოსპობის" ნაცვლად ისინი ყოველი საშუალებით უწყობენ მათ ხელს, ამჟამად შეერთებული შტატები მსოფლიოს წინაშე მონოპოლიების სიმბოლოდ გამოდიან. ნაცვლად „სახრჩობელების დანგრევისა", ისინი ფართოდ აყვავების შესაძლებლობას აძლევენ თავაწყვეტილ რასიზმს, ზანგების გასამართლებას ლინჩის წესით, ნებას აძლევენ შეურაცხყონ და დააშინონ პატარა „ფერადკანიანები", როცა ისინი ილლიაში წიგნებამოჩრილნი სკოლებში მიიჩქარიან. ნაცვლად „წყეული საკანონმდებლო წიგნების" დაწვისა, თავისუფლებისათვის მებრძოლებით ივსება საპყრობილეები ან მათ სდევნიან ლოიალობის გამომკვლევი კომისია და კონგრესის კომიტეტები. იმიგრანტს რომ იღებს, თუნდაც იგი გამოჩენილი პიროვნება იყოს, მთავრობა უწინარეს ყოვლისა ზრუნავს იმისათვის, იგი „დაავადებული" ხომ არ არის პროგრესული იდეებით. „საზღვაო კარს" განიხილავენ როგორც კარს „პოლარისებით" აღჭურვილი წყალქვეშა ნავებისათვის. რომლებსაც მომაკვდინებელი ატომური ტვირთი მიაქვთ სხვა ქვეყნებისათვის; „მიწის სივრცეები" მსოფლიოს განუვითარებელ რაიონებში განუვითარებელი რჩება, თუ მათ არ ძალუძთ მოგების უხვი მოსავალი მოუტანონ უოლ-სტრიტის კორპორაციებს.

ბევრი ამერიკელი — ამაში შეიძლება არ დავეჭვდეთ, — ახალი წლის დღესასწაულისათვის რომ ემზადება, ღრმად შეშფოთებულია იმაზე ფიქრით, რომ ამერიკის პრესტიჟი მსოფლიოში დაეცა იმის გამო, რომ მთავრობა ასე ძალიან დაშორდა კრედოს, რომელსაც ყველაზე ფართოდ იზიარებენ ამერიკელები. მათ ესმით, რომ თანამედროვე სამყარო ის არ არის, რომელშიც ემერსონი ცხოვრობდა, მაგრამ მათ სურთ, რომ ამერიკის პოლიტიკას აცოცხლებდეს ჰუმანისტურ და დემოკრატიულ მისწრაფებათა თუნდაც [illegible]ცირე დოზები.

და მათ აგრეთვე ესმით, რომ თანამედროვე სამყაროში არა მარტო ჰუმანიზმი და დემოკრატია, არამედ კატასტროფისაგან გადარჩენაც დამოკიდებულია ომის საშიშროების ლიკვიდაციაზე. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირთან შეთანხმების გზით.

ეროვნული მიზნების შესახებ დისკუსიაში, რომლის მასალებმა პზის სინათლე პირველად ჟურნალ „ლაიფის" ფურცლებზე იხილა და რომლებიც ამას წინათ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, პუბლიცისტმა უოლტერ ლიპმანმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიარონ, რომ „ჩვენ ცხოვრება მოგვიხდება ერთსა და იმავე სამყაროში" და რომ ამის შეგნება „მოითხოვს საგარეო პოლიტიკის სერიოზულ გადასინჯვას".

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა კენედიმ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამერიკელ ხალხს აღუთქვა, რომ „ახალი ზღუდეებისაკენ" წაიყვანს. ახლანდელ დროში არ არის იმაზე უფრო მიმზიდველი ზღუდეები, ვიდრე მშვიდობაა. ამერიკელი ხალხის უმრავლესობა მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად იზიარებს იმედს, რომ ახალი წელი ამ ზღუდეების მისაღწევად მიმართული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯების მოწმე იქნება.




**უმუშევრობა:** 1960 წელს გავიზარდე, ავმაღლდი... იანკის ქვეყანაში ჩემს ანგარიშზეა მილიონები. რას მიქადი, ახალო წელო?

**ახალი წელი:** უფრო გაიზრდები, უფრო ამაღლდები, მტკიცედ გაიდგამ ფეხს, სადაც დოლარი მეფობს.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნო — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-18-90, საილუსტრაციო — 3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.